პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პარასკევი 16 ივნისი 1939 წ.
№ 136 (5536)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს გაზეთში:

ინდივიდუალური შერჩევა პარტიაში მიღების ურყევი პრინციპია (მოწინავე)
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.)
ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვ.)
სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა (1-ლი და მე-2 გვ.)
მტკიცედ დავიცვათ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები განიავებისაგან (მე-2 გვ.)
პროფ. ნ. კორნატოვსკი—პეტროგრადის გმირული დაცვა (ფელეტონი. მე-2 და მე-3 გვ.)
პეტროგრადის გმირული დაცვის ოცი წლისთავი ([illegible] გვერდი).
უცხოეთში:
იაპონია ინგლისელებს ჩინეთიდან აძევებს (მე-4 გვ.)
ჩინეთის 80 დივიზია იაპონელთა ზურგში (მე-4 გვ.)
ტიანძინის ამბები (მე-4 გვ.).

ინდივიდუალური შერჩევა პარტიაში მიღების ურყევი პრინციპია

დიდი საბჭოთა კავშირის უდიდესმა ისტორიულმა გამარჯვებებმა უაღრესად გაზარდეს ჩვენი პარტიის ავტორიტეტი, მოუპოვეს პარტიას მუშების, კოლმეურნეთა, საბჭოთა ინტელიგენციის განუსაზღვრელი ნდობა და სიყვარული. პარტიისადმი გაზრდილი რწმენა, მისი საქმისადმი თავდადება გამოხატულებას პოულობს ჩვენი დიადი სამშობლოს საუკეთესო ადამიანთა სწრაფვაში პარტიის რიგებისაკენ. პარტიაში შედიან სოციალისტური სახალხო მეურნეობის გამოჩენილი მუშაკები, სწავლულნი, მეცნიერნი, პედაგოგები. განსაკუთრებით გაიზარდა პარტიისაკენ სწრაფვა XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა საქ. კ. პ. (ბ) ახალი წესდების საფუძველზე უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მრავალი ასეული წარჩინებული ადამიანი მიიღეს თავის რიგებში.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პარტიაში მიღების საქმისადმი ხელმძღვანელობა, გულდასმით იხილავენ პარტიაში შემსვლელთა თვითეულ განცხადებას, საკ. კ. პ. (ბ) რიგებში იღებენ კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს, იბრძვიან პარტიის სისპეტაკის განმტკიცებისათვის. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს მთელი რიგი შეცდომები რაც დაშვებულ იქნა პარტიაში მიღებისას ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მიერ. ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ უნდა გავამახვილოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფუსფუსი, ერთგვარი აჩქარება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში. პარტორგანიზაციათა ზოგი ხელმძღვანელები მზად არიან პარტიაში მიიღონ ყველა მსურველი, ამასთანავე გულდასმით არ სწავლობენ პარტიაში შესვლის შესახებ განცხადების შემომტანთ. მთელი რიგი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ აქა-იქ ადგილი აქვს პარტიაში ხელაღებით მიღებას.

საქპურტრესტის ფოთის განყოფილების პარტორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო მოკინკლავე და შრომის დისციპლინის დამრღვევი ი. ტატიშვილი. ბათუმის რაიონის [illegible] საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო კ. ალანია, რომელიც 1924 წელს მონაწილეობდა მენშევიკურ ავანტურაში, 1935 წელს გარიცხული ყოფილა პარტიიდან თავისი წარსულის დაფარვისათვის; პარტიული ორგანიზაცია არ დაინტერესდა ალანიას წარსულის შესწავლით.

დაუშვებელი აჩქარების ცუდ მაგალითებს ზოგჯერ თვით პარტრაიკომები იძლევიან. თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომი, აგრეთვე სტალინისა და ორჯონიკიძის რაიკომები ბიუროს თვითეულ სხდომაზე პარტიაში მისაღებთა 35-40 განცხადებას იხილავდნენ და ამავე ბიუროზე ისმენდნენ 10-12 სხვა საკითხს. ეს მაგალითები აშკარად მოწმობენ ზედმეტ აჩქარებას.

პირველად პარტორგანიზაციათა ცალკეულ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ პარტიაში შესვლის ყველა მსურველი ვერ იქნება მიღებული. პარტია არის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, იგი წარმოადგენს მუშათა კლასიდან, კოლმეურნეებიდან, ინტელიგენციიდან გამოსულ მოწინავე ადამიანთა შესაკრებ პუნქტს; პარტიის რიგებში მიიღებიან უკეთესნი უკეთესთა შორის, ისინი, რომელთაც აქვთ უნარი იყვნენ ნამდვილად მოწინავენი, შეუძლიათ თავდადებული მუშაობით, პირადი მაგალითის ჩვენებით დარაზმონ თავის გარშემო მასები და წარუძღვნენ მათ ბრძოლაში, რომელთაც შესწევთ უნარი ნამდვილად განახორციელონ კომუნისტთა ავანგარდული როლი, ღირსეულად ატარონ პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება.

კომუნისტები ყველგან და ყოველთვის ავანგარდულ ძალას უნდა წარმოადგენდნენ, თვითეული კომუნისტი უნდა იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, იგი მუდამ უნდა იყოს კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. იმისათვის, რომ ნამდვილად მოწინავე იყოს, კომუნისტი შეიარაღებული უნდა იყოს რევოლუციური თეორიით, ყოველდღიურად ზრუნავდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, ბოლშევიზმის საფუძვლების დაუფლებაზე, აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტიაში მიიღებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში და აგრეთვე საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტორგანიზაციათა ზოგიერთ ხელმძღვანელებს და ზოგ რაიკომებსაც კი აზრად არ მოსდით ამ მხრივ შეამოწმონ პარტიაში შემსვლელის მსურველნი.

წულუკიძის რაიონის ჟდანოვის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ სათანადო შემოწმების გარეშე პარტკანდიდატად მიიღო ქ. ბახტაძე. გამოირკვა, რომ ბახტაძე არ მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში, ნაკლებად ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე და თავს არიდებს კოლმეურნეობაში მუშაობას. სწორად მოიქცა წულუკიძის პარტრაიკომი, როცა ქ. ბახტაძეს უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე. სარეწაო არტელების პარტორგანიზაციამ (ფოთი) პარტიაში მიიღო თ. ნადირაძე, რომელსაც არაფრით გამოუჩენია თავისი მოწინავეობა. ამ პარტორგანიზაციის მდივანმა განაცხადა: „მას სურვილი ჰქონდა პარტიაში შესვლისა და როგორ არ მიგვეღო". ეს მაგალითი მოწმობს თუ როგორ დაივიწყეს ზოგიერთმა ამხანაგებმა პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი და მზად არიან კარი გაუღონ პარტიაში შემსვლის ყველა მსურველს.

ადგილი აქვს სხვაგვარ შეცდომებსაც. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციები 3-4 თვეობით აჭიანურებენ პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვას, ცალკეული კომუნისტები რეკომენდაციის აძლევენ ამხანაგებს, მაშინ როცა 1 წლის ერთად მუშაობით არ იცნობენ მათ. პარტიის წესდების დარღვევის ეს ფაქტები გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ. პარტიულმა ორგანიზაციებმა საქმის სრულიად გაუჭიანურებლად, მაგრამ ამავე დროს აუჩქარებლად, უფუსფუსოდ, გულდასმით უნდა განიხილონ თვითეული განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

დიდმა **სტალინმა** XVIII პარტიულ ყრილობაზე ჩვენს წინაშე დააყენა საბრძოლო ამოცანა: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები". ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ვალია გულმოდგინედ იმუშაონ ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად.

მუდამ უნდა გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა და არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი მტრები, შინაური და გარეშენი, კვლავ შეეცდებიან შემოაპარონ პარტიაში მავნებლები და ჯაშუშები, რათა შიგნიდან გასტეხონ ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრე. მით უფრო გულმოდგინედ და სიფრთხილით უნდა ვაწარმოოთ პარტიაში მიღება. კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ინდივიდუალური შერჩევა პარტიის რიგების ზრდის ურყევი სახელმძღვანელო პრინციპია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსების დაჯილდოების შესახებ

მხედველობაში მიღებულ იქნას მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსების საბრძოლო დამსახურებანი სამოქალაქო ომის წლებში და წარმატებითი მუშაობა მეთაურთა შემადგენლობის კადრების გამოზრდისა და აღზრდის საქმეში და, კურსების არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსები „წითელი დროშის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 14 ივნისი.

გორკის დღეების წინ

ჩვენი ქვეყანა ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტების მიერ ვერაგულად მოკლული დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის გარდაცვალების სამი წლისთავი.

მოსკოვში გორკის დღეები აღინიშნება მთელი რიგი საღამოებით, მოხსენებებითა და ლექციებით. კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში შესდგება მასობრივი კრება, რომელსაც აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და საბჭოთა მწერლების კავშირი. 16 და 17 ივნისს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში ჩატარდება საუბრები გორკის შესახებ. მსოფლიო ლიტერატურის ა. მ. გორკის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაიკითხავენ რამდენიმე მოხსენებას დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტი აწყობს გორკისადმი მიძღვნილ რამდენიმე ლიტერატურულ გადაცემას.

გორკის გარდაცვალების სამი წლისთავზე ხარკოვში შესდგება მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი. (საქდესი).

საერთაშორისო სასროლო შეჯიბრება

დაახლოებით ორი კვირაა, რაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება ჩასათვლელი სროლა საერთაშორისო დაუსწრებელ შეჯიბრებათა მონაწილე საბჭოთა გუნდებისა. საბჭოთა მსროლელების 45 გუნდიდან ჩასათვლელი სროლა დაამთავრა 23 გუნდმა. საუკეთესო შედეგები გვიჩვენა კავშირგაბმულობის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც 2.000 შესაძლებელიდან 1.985 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის სკოლის გუნდმა, რომელსაც 1.982 ქულა აქვს.

14 ივნისს სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა სასროლო კლუბმა ჩასათვლელი ნასროლი სამიზნების პირველი პარტია გაგზავნა ლონდონს მცირეყალიბიანი სასროლო კლუბების ბრიტანეთის საზოგადოებაში, რომელმაც მოაწყო ეს შეჯიბრება. (საქდესი).

დეტალები მცირელიტრაჟიანი ავტომობილებისათვის

ლენინგრადი, 14 ივნისი (საქდესი). კუიბიშევის სახელობის საკარბიურატორო - საარმატურო ქარხანაში დაიწყო მზადება მცირელიტრაჟიანი ავტომობილების დეტალების წარმოებისათვის.

ივნის-ივლისში ქარხანა მოგვცემს სანთლების, მილაკების, ონკანებისა და სხვ. დეტალების პირველ პარტიას. წლის დამლევამდე დამზადდება დეტალების 350 კომპლექტი.

პეტროგრადის დაცვა. ი. ბ. სტალინი ფრონტზე კრასნაია გორკასთან 1919 წლის ივნისში.
მხატვარ ფრენცის სურათი. ლენინგრადის რევოლუციის მუზეუმის მასალებიდან.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

1939 წ. 15 ივნისი № 111, ქ. მოსკოვი

დღეს შესრულდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსების სახელოვანი არსებობის 20 წელი.

სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა რესპუბლიკას სჭირდებოდა თავისი მუშა-გლეხი მეთაურები, რომელნიც კარგად იქნებოდნენ მომზადებულნი ბატალიონების, პოლკებისა და დივიზიებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

კურსებს—„ვისტრელს" დაკისრებული ჰქონდა საპატიო საბრძოლო ამოცანა—გაეწრთვნა წითელი არმიის მსროლელი ნაწილების ისეთ მეთაურთა შემადგენლობა, რომლებსაც უნარი ექნებოდათ დაეძლიათ მომქმედი ჯარის საბრძოლო საქმიანობის ხელმძღვანელობის რთული ამოცანები. ეს ამოცანა კურსებმა ბრწყინვალედ დაძლიეს. ქვეითი ჯარის ასობით და ათასობით მეთაურები—კურსების მიერ გამოზრდილნი — მიუძღვებოდნენ ბრძოლაში წითელი არმიის ძლევამოსილ ნაწილებს, რომლებსაც სათავეში უდგნენ, ანადგურებდნენ მტერს და საბოლოოდ მოსპეს იგი. „ვისტრელის" მიერ გამოზრდილთაგან ამჟამად ბევრნი უდგანან სათავეში წითელი არმიის პოლკებს, დივიზიებს, კორპუსებსა და სხვადასხვა შტაბს.

გაითვალისწინა რა უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსების საბრძოლო დამსახურება სამოქალაქო ომის წლებში და მათი წარმატებითი მუშაობა მეთაურთა შემადგენლობის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, „ვისტრელის" არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით, დააჯილდოვა იგი „წითელი დროშის" ორდენით, ყველაზე უფრო დამსახურებული მეთაურები და მასწავლებლები კი—სსრ კავშირის ორდენებით.

მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სასროლო-ტაქტიკური კურსების ყველა მეთაურს, პოლიტმუშაკს, უფროსს, წითელ არმიელსა და ნებითდაქირავებულთა შემადგენლობას ვულოცავ 20 წლისთავს, მთავრობის მიერ მაღალი ჯილდოებით დაჯილდოებას და მორიგ მე-32 გამოშვებას მეთაურებისას, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს წითელდროშოვანი „ვისტრელი" და რომელნიც დღეს პრაქტიკულ მუშაობას უბრუნდებიან მწყობრში.

ვუსურვებ მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელ უმაღლეს სასროლო-ტაქტიკურ კურსებს შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერების განმტკიცების დარგში.

გაუმარჯოს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

14 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და სტახანოვური მუშაობის წარმატებითი ორგანიზაციისათვის თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით ჯილდოს იღებენ მთელ რიგ საწარმოთა მუშებისა, მოსამსახურეებისა, ინჟინერ-ტექნიკური და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივები. ლენინის ორდენი ეძლევა იაროსლავლის რეზინ-აზბესტის კომბინატის კოლექტივს; შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა მე-93 ქიმიური ქარხნის კოლექტივს და სინთეზური კაუჩუკის ლიტ. „ბ" საცდელი ქარხნის კოლექტივს.

შემდეგ ორდენებსა და მედლებს აძლევენ ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან სტახანოვური მუშაობის ნიმუშებისათვის და ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში მიღწეული წარმატებისათვის.

ორდენებსა და მედლებს აძლევენ მძიმე მანქანათმშენებლობის დაჯილდოებულ მუშაკთა ჯგუფს, აგრეთვე ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშაკებს.

გარდა ამისა, ჯილდო გადაეცა ხასანელთა ჯგუფს, მთელ რიგ სამხედრო და სამეურნეო მუშაკებს.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულმხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულთ და ახალი წარმატება უსურვა მუშაობაში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებანი ცალკე ბროშურებად ქართულ ენაზე

საქართველოს სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა ქართულ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოსცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" და „1939 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ".

ბროშურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, თვითეული 50.000 ეგზემპლარის ტირაჟით და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიაში.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გაანთავისუფლა სიმონ სიმონის-ძე დუკელსკი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, თანახმად მისი თხოვნისა.

O

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. ივანე გრიგოლის-ძე **ბოლშაკოვი** სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ და განათავისუფლა იგი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობისაგან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. მიხეილ დიმიტრის-ძე **ხლომოვი** დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად და გაანთავისუფლა იგი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მდივნის მოვალეობისაგან.

O

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. მიხეილ ტროფიმეს-ძე **პომაზნიოვი** დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მდივნად. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

დაძაბული მდგომარეობა პოლონეთ-სლოვაკიის საზღვარზე

ლონდონი, 15 ივნისი (საქდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ პოლონეთ-სლოვაკიის საზღვარზე გერმანიის ჯარის კონცენტრაციის საპასუხოდ პოლონეთის მთავრობამ გუშინ რეზერვისტთა ახალი ჯგუფები გაიწვია ცხენოსან და საარტილერიო პოლკებში.

„ტაიმსი" იუწყება, რომ პრაღაში ჰიმლერის ჩასვლასთან დაკავშირებით დიდ ამბებს მოელიან.

გაზეთს მოჰყავს მთელი რიგი ნიშნები, რომელიც მოწმობს, რომ გერმანიას განზრახული აქვს რაღაც გადამწყვეტი ნაბიჯები გადასდგას. გუშინ საღამოს პარდუბიცასა და პრაღაში ბევრ მემანქანეს უბრძანეს ორი უახლოესი დღის განმავლობაში გაჩაღებული იქონიონ ორთქლმავლები. დღესა და ხვალ ბრნოდან ოლმიუცამდე და იგლაუმდე ყველა გზა თავისუფალი უნდა იქნეს სამოქალაქო მოძრაობისაგან. 13 ივნისიდან პრაღის სასტუმროებში გერმანელ პოლიციელთა სულ ახალ-ახალი პარტიები მოდიან. გერმანელმა ოფიცრებმა და პოლიციის მოხელეებმა, რომელთაც ცოლებიც პრაღაში ცხოვრობენ, მიიღეს განკარგულება უკან გაჰგზავნონ ისინი გერმანიაში.

გულანსუს ბლოკადა

ლონდონი, 15 ივნისი (საქდესი). ტიანძინში ინგლისისა და საფრანგეთის კონცესიების ბლოკადის დაწყებასთან ერთად, იაპონელები ანალოგიურ ზომებს იღებენ საერთაშორისო სეტლმენტის წინააღმდეგ გულანსუში.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 15 ივნისს იაპონიის 3 სამხედრო გემმა დაიწყო გულანსუს ბლოკადა. 50-ათასიან მოსახლეობას სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა მოელის.

ტიანძინში

ტოკიო, 15 ივნისი (საქდესი). დომეი ცუსინის ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ ერთმა ამერიკელმა იაპონიის კონსული ინახულა და ინგლისის ტიანძინის კონცესიის ხელისუფალთა დავალებით აცნობა მას, რომ ინგლისის ხელისუფალნი თანახმა არიან დათმობაზე წავიდნენ იაპონელების მიმართ. კონსულმა უპასუხა: „რაკი საქმე ბლოკადამდე მივიდა, ჩვენ ინგლისელებთან შეთანხმება აღარ გვსურს".

ინგლისისა და საფრანგეთის კონცესიების ქუჩები დაცარიელებულია.

„იომიურის" კორესპონდენტი აღწერს ტიანძინში შექმნილ მდგომარეობას და სწერს, რომ როცა იგი ქუჩებში მიდიოდა შემხვედრი უცხოელები ზიზღით უყურებდნენ მას, სამაგიეროდ იგი აღნიშნავს, რომ გერმანელები ესალმებოდნენ იაპონელებს.

როგორც შანხაიდან იუწყებიან, იაპონელები, დარწმუნდნენ რა, რომ ინგლისელებს არ სურთ წინააღმდეგობა გაუწიონ მათ ტიანძინში, ამზადებენ შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის ბლოკადას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

13 ივნისს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სამხატვრო საბჭომ მიიღო სამი პავილიონი—„მეფრინველეობა", „მებოსტნეობა" და „ტყის აგრომელიორაცია". განსაკუთრებული სილამაზით არის გაფორმებული „მებოსტნეობის" პავილიონი. დარბაზის შუა გულში დადგმულია უზარმაზარი ვაზა, რომელიც პირამდე სავსეა ახალი ბოსტნეულით. ეს ბოსტნეული წარმოადგენს გამოფენის ექსპონატების—საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პროდუქციას.

გამოფენაზე ჩატარებულია დიდი სამუშაო გამწვანების მიზნით. ხეივანთა ხეების ქვეშ იდგმება 25 ათასი სკამი.

ხარკოვში დაიწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები

ხარკოვი, 15 ივნისი (**ჩვენი სპეც. კორ.**). 14 ივნისს ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები. პირველ დღეს დაიდგა ს. შანშიაშვილის „არსენა". სპექტაკლმა უდიდესი მხატვრული წარმატებით ჩაიარა. დარბაზი სავსე იყო ხალხით.

მესამე აქტის შემდეგ რუსთაველის თეატრის კოლექტივს მიესალმნენ: ხელოვნების მუშაკთა სახელით ხელოვნების მუშაკთა კავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კოლინი და ხარკოვის მშრომელთა სახელით ამხ. ბობროვი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ამხ. ა. ვასაძე.

ლ. ასათიანი

შევჩენკოს თეატრის გასტროლები

გუშინ რუსთაველის თეატრის შენობაში დაიწყო ტ. შევჩენკოს სახელობის ხარკოვის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

პირველად დაიდგა ცნობილი უკრაინელი დრამატურგის **ა. კორნეიჩუკის** 4-მოქმედებიანი ჰეროიკა „**ბოგდან ხმელნიცკი**". პიესაში ასახულია უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლა პოლონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მისი ნაციონალური გაერთიანება და შეერთება მოსკოვის რუსეთთან ისტორიული გმირის ბოგდან ხმელნიცკის თაოსნობით.

როგორც პიესის გრანდიოზულმა დადგმამ, ისე მსახიობების შესანიშნავმა თამაშმა დამსწრე საზოგადოების მხურვალე ოვაციები გამოიწვია.

მთავარ როლებში გამოდიოდნენ უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები **ი. ა. მარიანენკო** (ბოგდან ხმელნიცკი) და **მ. მ. კრუშელნიცკი** (გავრილო), მსახიობები **დ. ი. ანტონოვიჩი** (მაქსიმ კრივონოსი), **ა. ი. სერდიუკი** (ბოგუნი), **ნ. ფ. გორლენკო** (ბარბალე), **ე. ა. პეტროვა** (ზოსია) და სხვ.

„ბოგდან ხმელნიცკის" დადგმა ეკუთვნის უკრაინის სსრ დამ. არტისტს **მ. მ. კრუშელნიცკის**, მუსიკა—კომპ. **ბ. ვ. კრიჟანოვსკის**, მხატვრობა—**ვ. გ. მელერს.**

ანტრაქტებში შევჩენკოს თეატრს მიესალმნენ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან **გრ. ვენაძე**, თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სტახანოველების სახელით ამხ. **ზ. ნადირაძე** და ა/კ. სამხედრო ოლქის წითელარმიელთა და მეთაურთა სახელით ამხ. **ვერგასოვი.**

შევჩენკოს თეატრის კოლექტივის სახელით მაყურებლებს მხურვალე სიტყვით მიმართა მსახიობმა **ა. ლ. ხვილიამ.**

მესამე ხუთწლედის სესხის პირველი ტირაჟი

17 ივნისს ქ. სტალინოში (დონბასი) იწყება მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა პირველი ტირაჟი. გათამაშდება 610 ათასი მოგება 96.050.600 მანეთის რაოდენობით, აქედან 61 მოგება სამ-სამი ათასი მანეთისა, 305 მოგება ათას-ათასი მანეთისა და 3050 მოგება ხუთას-ხუთასი მანეთისა.

ტირაჟი ორ დღეს გაგრძელდება. (საქდესი).

ქისტაურელთა გამოცდილების შედეგად

წულუკიძე (საკ. კორ.). ქისტაურელ მეაბრეშუმე ქალთა მეთოდების ფართოდ დანერგვით წულუკიძის რაიონის მეაბრეშუმე ქალებმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს.

სოფ. ქუხის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა მეაბრეშუმემ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატმა ეკ. სანაძემ აბრეშუმის პარკის მოსავლის გეგმა 217,4 პროცენტით შეასრულა; მან 27 დღის კვების შემდეგ 9 გრამ თესლზე ნაცვლად 25 კილოგრამისა სახელმწიფოს 54,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ჩააბარა და მიიღო 1403 მანეთი ფულად.

ამავე კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატმა ნადია გიორგაძემ 26 გრამი თესლიდან 21 დღეზე სახელმწიფოს 124 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა და მიიღო 1479 მანეთი.

წულუკიძის მე-4 უბნის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ოლია ლაითაძემ პარკის მოსავალი 24 დღეზე მიიღო. მან 17,5 გრამი თესლიდან ნაცვლად 49 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 165,7 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. პარკის საფასური მიიღო 1858 მანეთი, აქედან 1020 მანეთი ჯილდო-დანამატი. ასევე კარგად მუშაობენ ელპიტე და ოლია ლაითაძეები, თ. რუხაძე, თამარ ხაჯალია და სხვები.

თავთავიანი კულტურების აღება

ყვარელი, 15 ივნისი (საქდესი). ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ივნისისათვის 600 ჰექტარიდან უკვე აიღეს 348 ჰექტარი ქერი. ყვარლის კოლმეურნეობა „დუღუჯმა", კოლმეურნეობა „გამარჯვებამ" და სოფელ ოქტომბრის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრეს ქერის მოსავლის აღება. ქერის აღება რაიონში 20 ივნისისათვის დამთავრდება, რის შემდეგ კოლმეურნეობები ხორბლის აღებას შეუდგებიან.

ყარაია, 15 ივნისი (საქდესი). ყარაიის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაზე 3 კომბაინი და 24 ძნისსაკონი მუშაობს. 15 ივნისისათვის რაიონში აიღეს 15 ჰექტარი ქერი და ხორბალი. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები იბრაჰიმ რზა ოღლი, ქიარამ იაკუბ ოღლი, გუმბატ ასლან ოღლი და ჯახანდარ შამედ ოღლი მოსავლის ხელით აღების ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო

გამოფენის კანდიდატები

რით მივდივართ გამოფენაზე

ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობას უჭირავს 1.200 ჰექტარი ფართობი, რომელზედაც გაშენებულია როგორც ჩაი, ისე ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი და სხვა ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები. ამხ. ლ. ბერიას მითითებათა რეალიზაციის შედეგად საბჭოთა მეურნეობა უკვე რენტაბელური გახდა.

აგროღონისძიებათა მტკიცედ გატარებით აქ ყოველწლიურად მატულობს ჩაისა და ციტრუსების მოსავალი. 1935 წელს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ 720.864 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო—2.400 კილოგრამი თვითეულ ჰექტარზე, შარშან კი მოკრეფილ იქნა 1.179.662 კილოგრამი — 3.414 კილოგრამი საშუალოდ ჰექტარზე.

1937-38 წლების მიღწევებით ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ ჰექტარზე საშუალოდ 3.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეურნეობა გამოფენაზე მიდის აგრეთვე ციტრუსების ხაზითაც. 1937-38 წელს თვითეულ ძირ მანდარინის ხეზე 350 ცალის ნაცვლად მივიღეთ საშუალოდ 533 ცალი ნაყოფი.

მეურნეობაში სულ ჩაისა და ციტრუსების 47 საწარმოო ბრიგადაა, აქედან გამოფენაში მონაწილეობას იღებს 29 ბრიგადა, 43 სტახანოველი და 17 აგრონომი და აგროტექნიკოსი.

თამარ დიხამინჯიას ბრიგადამ, რომელიც გამოფენაზეა წარდგენილი და უვლის 9 ჰექტარ პლანტაციას, შარშან ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 6.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, არ. მაზმანიანის ბრიგადამ—5.000 კილოგრამი. მესამე აგრორაიონში, რომელსაც აგრ. მ. მიქაძე ხელმძღვანელობდა (მიქაძე ამჟამად დაწინაურებულია მეურნეობის უფროს აგრონომად), შარშან ჰექტარზე საშუალოდ 3.905 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოსავალი მიიღეს.

გამოფენაზე წარდგენილ სტახანოველ მკრეფავთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ევდოკია ლოქტიონოვა, რომელმაც შარშან სეზონში 2.500 კილოგრამის ნაცვლად 6.684 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. სტახანოველმა ქ. მატვეენკომ მოკრიფა 5.221 კილოგრამი, ვ. ლიმანმა—5.318 კილოგრამი.

ლეონიდე პასკონის ბრიგადამ 1937—1938 წლებში მანდარინის თვითეულ ხეზე მიიღო საშუალოდ 703 ცალი ნაყოფი, ავქსენტი აბუსერიძის ბრიგადამ—505. სტახანოველმა მუშამ გიორგი გლაზკოვმა, რომელიც 400 ძირ სრულმოსავლიან მანდარინს უვლის, თვითეულ ხეზე მიიღო საშუალოდ 742 ცალი ნაყოფი, ე. შპარტალიუკმა მასზე მიმაგრებული 200 ძირი მანდარინის ხიდან 124.800 ნაყოფი მიიღო—624 ცალი თვითეულ ხეზე.

მეურნეობის მოწინავე სტახანოველები საუკეთესოდ მუშაობენ გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ილია დოლიძის ბრიგადამ მარტო მაისში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 1.703 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო, მ. დობროვას ბრიგადამ—1.450 კილოგრამი. სტახანოველმა ზოია სლობოდნიუკმა მაისის მესამე დეკადაში მოკრიფა 686 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, კატია დერკაჩოვამ — 578 კილოგრამი.

ჩაქვის მეურნეობამ მაისში 472.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და თვიური გეგმა 102,2 პროცენტით შეასრულა, ივნისის პირველ 4 დღეში კი თვიური გეგმა 14 პროცენტით იქნა შესრულებული.

ივ. თოხაძე

ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მტკიცედ დავიცვათ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები განიავებისაგან

ფორმალური გაყოფით ზედმეტ მიწებს ინარჩუნებენ

ვანი (საკ. კორ.). რაიონის მთელ რიგ სოფლებში საკარმიდამო მიწების გაფართოების მიზნით ხშირად ფორმალურად ხდება ოჯახების გაყოფა. მაგალითად, სოფ. ზედა-ციხესულორის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პორფილე ბოჭორიშვილმა თავისი ოჯახი სამად გაჰყო და ამ გზით სამი ჰექტარი მიწა, სამი ცხენი და ორი ძროხა შეინახა. პ. ბოჭორიშვილს საკარმიდამო მეურნეობის შემოსავალი ძირითად წყაროდ აქვს გადაქცეული, კოლმეურნეობაში მუშაობას კი თავს არიდებს.

ამავე კოლმეურნეობის წევრი გალაქტიონ ბოჭორიშვილი ოჯახის ფორმალური გაყოფით ამჟამად ორ ჰექტარ მიწას პატრონობს.

სოფ. ზეინდრის კოლმეურნეობაში გრიგოლ და დიანოზ ხელაძეები ფორმალურად გაიყარნენ და ამ გზით ორი ჰექტარი მიწა შეინარჩუნეს. გრიგოლ ხელაძე ექიმია. იგი დიდიხანია, რაც რაიონიდან წავიდა. დიანოზ ხელაძე კი ნოქრად მუშაობს, საკარმიდამო მიწას დაქირავებით ამუშავებს, საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებს, კოლმეურნეებისათვის დაწესებული შეღავათებით კი სარგებლობს.

კოლმეურნეები, ეცნობიან რა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებას, კოლმეურნეობის გამგეობისაგან მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ურყევად გატარებას.

ნ. თვალაბეიშვილი

ვამხილოთ ცრუკოლმეურნეები

(სამტრედია, საკ. კორესპონდენტისაგან)

სამტრედიის რაიონში გრძელდება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესწავლა-დამუშავება. კოლმეურნეები ამხელენ და მკაცრად აკრიტიკებენ ცრუკოლმეურნეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრია სამტრედიის რაიონში და რომლებიც ან სრულიად არ მუშაობენ კოლმეურნეობებში, ანდა მუშაობენ თვალისასახვევად და დროის მეტ ნაწილს თავის პირად მეურნეობას ანდომებენ.

ცენტრის უბნის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში 30 კოლმეურნეზე მეტს მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში 5-8 შრომადღეზე მეტი არ გამოუმუშავებია, ხოლო არიან ისეთი ცრუკოლმეურნეებიც, რომლებიც კოლმეურნის ყველა უპირატესობით სარგებლობენ, ხოლო კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული, ასეთებია: ლ. სტურუა, ი. კახაძე, გ. საშიაშვილი, ი. ჩორგოლაშვილი და სხვები.

მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს სოფ. ახალ-სინათლის კოლმეურნეობა „სოციალისტურ შეტევაში“ (თავმჯდომარე გ. შენგელია). აქ კოლმეურნე ტ. ნიკურაძეს მიმდინარე წელს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 3 შრომადღე.

ამავე კოლმეურნეობის წევრს ვერა გელამონიას წელს ერთი შრომადღეც არ გამოუმუშავებია. გარდა ამისა, აქ კოლმეურნეობას მძიმე ტვირთად აწევს 40-მდე ცუღლუტი კოლმეურნე: მ. ნიკოლეიშვილი, პ. რუხაძე და სხვ.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არიან ისეთი კოლმეურნეები, რომელთაც პირად სარგებლობაში ნორმაზე მეტი მიწა აქვთ. მაგალითად, ხუნჯულორის მე-9 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ქ. მეიშვილს ნორმის ზევით აქვს 0,2 ჰექტარი. სოფ. იდორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ვ. გრიგოლიას ნორმის ზევით ჰქონდა 0,5 ჰექტარი. კოლმეურნეობამ ეს ზედმეტი ფართობი „ჩამოუჭრა“ მას და მისსავე შვილს პ. გრიგოლიას გადასცა, ასე რომ ამ მიწით ახლა ორივე მამა და შვილი სარგებლობს.

სოფ. ძველი სამტრედიის კოლმეურნეობამ საკოლმეურნეო ფართობიდან პირად სარგებლობაში მიწა მისცა კოლმეურნეობის არაწევრ ზამთარაძეს.

ზ. სიხარულიძე

იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის

(ხარაგოული, საკ. კორესპონდენტისაგან)

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებში კვლავ გულდასმით იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. ამავე დროს კოლმეურნეობები ამჟღავნებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტებს, უდისციპლინობისა და კანონის დარღვევის შემთხვევებს, დამახინჯებებს.

სოფელ ღვერკის კოლმეურნეობა „წითელ სხივში“ მუშაობს კოლმეურნე ს. ხარატიშვილი, რომლის საკარმიდამო ფართობი 1.364 კვადრატულ საჟენს შეადგენს. გარდა ამისა იგი დაეუფლა ობოლი ძმისშვილის გ. ხარატიშვილის (რომელიც სოფელში აღარ ცხოვრობს) და ძმის--აგრონომ პავლე ხარატიშვილის საკარმიდამო ფართობებსაც. ამ გზით სერგო ხარატიშვილს ახლა თავის განკარგულებაში აქვს 2.574 საჟენი ფართობი. აღსანიშნავია, რომ ამ ფართობიდან 2.217 საჟენი მსხმოიარე ვენახია. ხარატიშვილის საკარმიდამო მეურნეობის შემოსავალი გაცილებით მეტია, ვიდრე კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავალი. ამიტომ ს. ხარატიშვილი კოლმეურნეობაში მხოლოდ იმიტომ ითვლება, რომ კოლმეურნეობის წევრის სახელი ატაროს.

სოფ. ხიდარის მესამე უბნის კოლმეურნეობაში ამავე კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვ. ბერაძე თვითნებურად ჩასახლდა კოლმეურნეობის ფართობში, მიითვისა 1.100 საჟენი მიწა.

რაიონის კოლმეურნეები, ერთსულოვნად იწონებენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“, მოითხოვენ მიღებულ იქნას მკაცრი ზომები ცრუკოლმეურნეთა წინააღმდეგ.

დავ. გაბრიაძე

სანდრო კავსაძის დაკრძალვა

15 ივნისს დილით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ნეშტი გადასვენებულ იქნა ხალხური შემოქმედების სახლში. სამგლოვიაროდ მორთულ დარბაზში, სადაც კუბო დასვენეს, თავი მოიყარეს მომღერლებმა, მსახიობებმა, მწერლებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კუბოსთან გამუდმებით მორიგეობდა საპატიო ყარაული.

ნაშუადღევის 4 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. დიდძალი ხალხი— განსვენებულის მოწაფეები, თანამშრომლები და პატივისმცემლები — მოაწყდა ამ დროისთვის ხალხური შემოქმედების სახლს. კუბო შეამკეს მრავალი გვირგვინებით და თაიგულებით.

გამოსვენების წინ ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს — კომპოზიტორმა გ. კოკელაძემ (ხალხური შემოქმედების სახლი), ვ. პატარაიამ (საქ. სახ. ესტრადა), მსახიობმა თ. აბაშიძემ (ქუთაისის თეატრი), ლ. გეგეჭკორმა (დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი), გ. სვანიძემ (გორის ეთნოგრაფიული გუნდი) და გ. ვარდიაშვილმა (სანდრო კავსაძის გუნდის სოლისტი).

საღამოს 6 საათი სრულდებოდა, როცა კუბო გამოასვენეს და სამგლოვიარო პროცესია დაიძრა ვაკის სასაფლაოსკენ. აუარებელი გვირგვინებით მიუძღოდნენ წინ პროცესიას იმ გუნდის წევრები, რომელსაც სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. წითელი დროშის თანხლებით მიჰქონდათ განსვენებულის საპატიო ჯილდო—შრომის წითელი დროშის ორდენი. პროცესია გამოვიდა ბერიას სახელობის მოედანზე, შემდეგ კომინტერნის ქუჩაზე და რუსთაველის პროსპექტზე. აქედან ლენინის, მელიქიშვილისა და მარის ქუჩებით პროცესია გაემართა ვაკისაკენ. გზადაგზა პროცესიას დიდძალი ხალხი ემატებოდა.

საღამოს 8 საათი შესრულდა, როცა პროცესიამ სასაფლაოს მიაღწია. აქ, ცხედართან გამოსამშვიდობებელი, მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა, შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა დიდძალი სამძიმრის დეპეშები, მიღებული სხვადასხვა ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ყაზანლიყის ვარდის პირველი მოსავალი

თელავი, 15 ივნისი (საქდესი). სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“ წელს პირველად აიღო 1,7 ჰექტარზე ორწლიანი ყაზანლიყის ვარდის პლანტაციის მოსავალი. კოლმეურნეობამ მოჰკრიფა და ქარხანას ჩააბარა 1.365 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ვარდი.

ჩვენ გვწერენ

ვინ მფარველობს გამცდენს?

კურორტ მენჯში უფროს ექიმად მუშაობს ექ. ჩანტლაძე. როცა საკურორტო სეზონისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობდა, ჩანტლაძე თავის კაბინეტს აწყობდა, კურორტის დირექციას თავისთვის ავტომანქანის შეძენა მოსთხოვა და მანქანის შესაძენად მივლინებებში ხშირი სიარულით სამივლინებო თანხები სეზონის გახსნისათვის დახარჯა. ჩანტლაძეს უფროსი ექიმისათვის კურორტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხელფასი ეცოტავა და დირექციას მოთხოვნა წაუყენა: გინდათ თუ არა თვიურად ათასი მანეთი დამინიშნეთო.

ჩანტლაძე არავის არ ემორჩილება, არავის არ სცნობს. მისთვის სამუშაო საათები არ არსებობს. სამუშაოზე დილის 9 საათზე ცხადდება, 11-ზე მიდის, ძალიან ხშირად იგვიანებს. ამასწინათ მან 15 წუთი დაიგვიანა, რისთვისაც კურორტის დირექციამ მას საყვედური გამოუცხადა. 3 მაისს ნახევარი საათის დაგვიანებისათვის იგი მოხსნეს, მაგრამ სამუშაო საათების გამცდენსა და დეზორგანიზატორ ჩანტლაძეს მთავარ საკურორტო სამმართველოში მფარველები აღმოუჩნდნენ და იგი სამსახურში აღადგინეს.

პროკურატურამ ჩანტლაძესაც და მის მფარველებსაც სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ა. ჯვართავა.

უცნაური დუმილი

ჩვენი გაზეთის 9 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო მიმოხილვა სათაურით — „უფრო ახლო სკოლებთან და მასწავლებლებთან“, რომელიც გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა.

ვფიქრობდით, რედაქცია მიიღებდა კრიტიკას, უფრო მეტად ჩაუფიქრდებოდა თავის მუშაობას და შეუდგებოდა არა მარტო ჩვენს მიერ აღნიშნული, არამედ, აგრეთვე, საერთოდ გაზეთის მუშაობაში არსებული ყველა სხვა ნაკლის გამოსწორებასაც. მაგრამ რედაქცია ასე როდი მოიქცა. როგორც სჩანს, გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ რედაქტორმა ამხ. ვ. გოგოლაძემ კრიტიკა იუკადრისა და დუმილი არჩია. აბა მაშ რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ გაზეთს დღემდე არ გადაუბეჭდია მიმოხილვა?

ჩვენ გვაკვირვებს საქ. განსახკომისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ც. კ-ის მოქმედებაც: რატომ არ მიიღებენ საჭირო ზომებს რედაქციის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ?

პროფორგანოების ანგარიში და არჩევნები მედსანშრომის კავშირში

მედსანშრომის კავშირში ანგარიში და არჩევნები უკვე ჩატარდა— საავადმყოფოებში, კლინიკებში, დისპანსერებში, საბავშვო სახლებში და სხვ.

პროფკავშირთა საანგარიშო-საარჩევნო კრებები თითქმის ყველგან ორგანიზებულად ტარდება. პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ბოლშევიკურად აკრიტიკებენ. პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში ადგილკომის (თავმჯდომარე ამხ. კარკუსოვი) ანგარიშის გამო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ადგილკომი არ აწარმოებდა კავშირის წევრთა შორის მასობრივ მუშაობას, არ იბრძოდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, არ ზრუნავდა კავშირის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ადგილკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და ადგილკომის მთელი შემადგენლობა გადაარჩეულია.

ფსიქიატრიული ინსტიტუტის ადგილკომის (თავმჯდომარე ექიმი ამხ. დავითაშვილი) საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღნიშნულ იქნა, რომ ადგილკომი დიდ ყურადღებას უთმობს თავდაცვითს მუშაობას, ეწევა მასობრივ-განმარტებითს მუშაობას, ხშირად ჰმართავს ექსკურსიებს, ზრუნავს ცალკეულ მუშაკთა საჭიროებათათვის. ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და ამხ. დავითაშვილი ფარული კენჭისყრით ხელახლა აირჩიეს ადგილკომის თავმჯდომარედ. (საქდესი).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ვასილ ივანეს-ძე **მაისურაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1504836 — როგორც პოლიტიკურად არასანდო.

აკაკი იესეს-ძე **თეუშაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0716479 — ლაყბობისა და უდისციპლინობისათვის.

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **დეკანოზიშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0716025 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ჩაგანავა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1518863 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.



№ ნაწილის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. პილიაკი, ტარასიუკი და უმცროსი მეთაური ჩადოვი ტაქტიკურ მეცადინეობაზე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

პროფ. ნ. კორნატოვსკი

პეტროგრადის გმირული დაცვა

პეტროგრადის ფრონტზე ბრძოლის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ მტერი, რომელსაც საკმაო ძალები არა ჰყავდა, იმედს უმთავრესად ამყარებდა თეთრგვარდიელ შეთქმულთა და ანტანტის ჯაშუშების დახმარებაზე, რომლებიც საბჭოთა ზურგში მოქმედებდნენ. ამხანაგი სტალინი, რომელიც 1919 წლის ზაფხულში პეტროგრადის დაცვას ხელმძღვანელობდა, ამის გამო ამბობდა:

„ყველა მონაცემების მიხედვით, მოწინააღმდეგეს იმედი ჰქონდა არა მარტო, ან, უფრო სწორად, არა იმდენად საკუთარი ძალებისა, რამდენადაც თავისი მომხრე თეთრგვარდიელების ძალებისა ჩვენი ჯარების ზურგში, პეტროგრადში და ფრონტებზე“ („პეტროგრადსკაია პრავდა“ № 152, 1919 წ. 10-VII).

მართლაც, პეტროგრადში სამოქალაქო ომის პერიოდში დიდ ძირგამომთხრელ კონტრრევოლუციურ მუშაობას აწარმოებდნენ ანტანტის ჯაშუშები და თეთრგვარდიელი შეთქმულები. ისინი ცდილობდნენ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ჩაეშალათ თავდაცვითი მუშაობა პეტროგრადში, გამძვრალიყვნენ მაღალ პოსტებზე საბჭოთა, სამეურნეო და სამხედრო აპარატებში, ხელში ჩაეგდოთ მთელი რიგი სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობა იმ მიზნით, რომ წითელ არმიაში და თვით პეტროგრადშიც მოეწყოთ ანტისაბჭოთა ამბოხება.



პეტროგრადში რომ რამდენიმე არალეგალური თეთრგვარდიული ორგანიზაცია იყო, რომლებიც აწარმოებდნენ ენერგიულ დამარღვეველ მუშაობას, ეს არაერთხელ აღუნიშნავთ რესპუბლიკის მუშური და გლეხური თავდაცვის საბჭოს, სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიას, პირადად **ლენინსა და სტალინს.**

ჯერ კიდევ პეტროგრადის ფრონტზე თეთრგვარდიელთა მაისის შეტევამდე, პეტროგრადში არალეგალური თეთრგვარდიული ჯგუფები ცდილობდნენ აეფეთქებინათ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტები, რომლებსაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ, მოეწყოთ ხიდების აფეთქება, შეეჩერებინათ რკინიგზის მოძრაობა, მოეწყვიტათ პეტროგრადი დანარჩენი რუსეთისაგან და, ბოლოს, ცდილობდნენ მოეწყოთ გაფიცვა. 1919 წლის დასაწყისში განსაკუთრებით ენერგიული დამარღვეველი მუშაობა გაშალეს ესერებმა და მენშევიკურმა ორგანიზაციებმა. სარგებლობდნენ რა მთელი რიგი მუშაკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ რევოლუციური სიფხიზლის შესუსტებით, სარგებლობდნენ რა, ბოლოს, ტროცკისტებისა და ზინოვიეველების მხრივ მფარველობითა და ხელისშეწყობით, ამ არალეგალურმა ორგანიზაციებმა და უწინარეს ყოვლისა მემარცხენე ესერების ორგანიზაციებმა 1919 წლის მარტში დაიწყეს ანტისაბჭოთა ფურცლების გამოცემა, რომლებითაც მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ბოლშევიკურ პარტიასთან აქტიური ბრძოლისაკენ.

„სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები, — სწერდა ლენინი, — აქტიურ მონაწილეობას იღებენ გაფიცვებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებებში“ (სრულიად-რუსეთის ცაკის „იზვესტია“ № 71, 1919 წ. 2 აპრილი).

ლენინი თავდაცვის საბჭოს სახელით მოითხოვდა უსწრაფესი ზომების მიღებას ხიდების აფეთქებისა და რკინიგზების გაფუჭების ყოველგვარი ცდების და გაფიცვებისაკენ მოწოდების ჩახშობისათვის.

იმავე დღეს ამხ. ძერჟინსკის ხელმოწერით გამოქვეყნებულ იქნა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის მიმართვა, რომელიც იუწყებოდა კონტრრევოლუციური შეთქმულების ლიკვიდაციის შესახებ, შეთქმულებისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფეთქებების, რკინიგზის ლიანდაგების დაზიანების და ხანძრების საშუალებით მოეწყო შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პეტროგრადის ფრონტზე დაწყებული თეთრგვარდიელთა შემოტევა, მათი სწრაფი მოახლოვება პეტროგრადთან, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტების და უწინარეს ყოვლისა პსკოვის აღება, ღალატი და გამცემლობა, რომლებიც ამ დროს ფრონტზე ხდებოდა, მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა არა მარტო ცალკეული პირებისა ყოფილი ოფიცრებიდან, რომლებსაც წითელ არმიაში ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ, არამედ აგრეთვე ჯარის ცალკეული ნაწილებისაც, რომლებიც მოწინააღმდეგის მხარეზე გადაჰყავდათ გამცემლებს და შეთქმულების მონაწილეებს — ყველაფერი ეს მოწმობდა, რომ პეტროგრადში ნამდვილად არსებობს ფართოდ განშტოებული არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება თეთრგვარდიელებს ფრონტზე.

1919 წლის 31 მაისს ლენინმა და ძერჟინსკიმ მუშებსა და გლეხებს მიმართეს მოწოდებით: „უფრთხილდით ჯაშუშებს!“ ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო:

„თეთრგვარდიელების შემოტევამ პეტროგრადზე ცხადად დაამტკიცა, რომ მთელ ფრონტისპირა ზოლში, თვითეულ დიდ ქალაქში ჯაშუშობის, გამცემლობის, ხიდების აფეთქების, ზურგში აჯანყებების მოწყობის, კომუნისტებისა და მუშათა ორგანიზაციების გამოჩენილი წევრების მოკვლისათვის თეთრებს აქვთ ფართო ორგანიზაცია. ყველგან უნდა გაორკეცდეს სიფხიზლე, მოფიქრებულ და მკაცრად გატარებულ იქნას მთელი რიგი ზომები ჯაშუშებისა და თეთრთა შეთქმულების მონაწილეების კვალის მისაგნებად და მათ შესაპყრობად“ (სრულიად-რუსეთის ცაკის „იზვესტია“ № 116, 1919 წ. 31 მაისი).

ლენინისა და ძერჟინსკის ამ მოწოდების საპასუხოდ ამხანაგი სტალინი პეტროგრადის დამცველ ჯარებს აძლევს ბრძანებას, რომელიც მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენდა თეთრგვარდიელ შეთქმულთათვის და ანტანტის ჯაშუშებისათვის. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ თეთრების მხარეზე გადასულთა ოჯახები დაუყოვნებლივ დაპატიმრებული იქნებიან, ასეთ მოღალატეებს დაუყოვნებლივ ჩამოერთმევათ მიწა უსასყიდლოდ, მთელი მათი ქონება კონფისკაციქმნილი იქნება.

„ვინც მხარს უჭერს მუშურ-გლეხურ რუსეთს, ამბობს ამხანაგი სტალინის ბრძანება, — ვინც რუსეთის მოღალატეთა წინააღმდეგია, იგი უნდა იყოს წითელი არმიის რიგებში, იგი უნდა ებრძოდეს თეთრებს მათს სრულ განადგურებამდე.

წითელი არმიის ჯარისკაცებო! თქვენ იცავთ თქვენს მიწაწყალს, თქვენ იცავთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, თქვენ იცავთ თქვენს სამშობლო მუშურ-გლეხურ რუსეთს. თეთრებს უნდათ დააბრუნონ მეფე და მონობა, თეთრები მოსყიდული არიან ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი და ფინელი ბურჟუების მიერ, მუშურ-გლეხური რუსეთის მტრების მიერ.

თეთრები უნდა გავწყვიტოთ უკანასკნელ კაცამდე. უამისოდ მშვიდობიანობა არ იქნება!

ვინც თუნდაც ერთ ნაბიჯს გადადგამს თეთრების მხარეს, იგი ადგილზევე იქნება განგმირული!“ (ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალი).

პეტროგრადში ჯაშუშებისა და შეთქმულთა მსხვილი არალეგალური ორგანიზაციების არსებობას მოწმობდა აგრეთვე „კრასნაია გორკას“ და „სერაია ლოშადის“ ფორტებზე 1919 წლის 13 ივნისს დაწყებული ანტისაბჭოთა ამბოხება.

ეს ამბოხება დაიწყო ანტანტის ჯაშუშთა მსხვილი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გეგმით, რომელსაც ეწოდებოდა „ნაციონალური ცენტრი“ და რომლის ძირითადი ბირთვი მოსკოვში იმყოფებოდა. ორგანიზაციის სათავეში იდგნენ კადეტები, გამოცდილი თეთრგვარდიელები. პეტროგრადში არსებობდა ამ ორგანიზაციის განყოფილება.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამბოხება მალე იქნა ჩაქრობილი. ამხანაგი სტალინი 14 ივნისს გაემგზავრა ორანიენბაუმში, სადაც ჩაატარა თათბირი წითელარმიელთა იმ ნაწილების მეთაურებთან და კომისრებთან, რომლებსაც იერიში უნდა მიეტანათ ამბოხებულ ფორტებზე. ამ თათბირზე გამომუშავებულ იქნა ოპერატიული გეგმა, რომლის ძირითადი იდეა მდგომარეობდა ზღვიდან და ხმელეთიდან კომბინირებულ დარტყმაში. კრასნაია გორკას მიმართულებით ნაპირის გასწვრივ დაიძრა წითელფლოტელთა სამი რაზმი და მე-7 არმიის ზოგიერთი ნაწილები: ყველა ამ ძალებმა შეადგინეს სანაპირო დამრტყმელი ჯგუფი. ზღვიდან კრასნაია გორკას უშენდა საარტილერიო ცეცხლს ორი სახაზო გემი „პეტროპავლოვსკი“ და „ანდრეი პერვოზვანი“, კრეისერი „ოლეგი“ და რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი.

გასცა რა ბრძანება შეტევის შესახებ, ამხანაგი სტალინი პირადად ადევნებდა თვალს ოპერაციის მსვლელობას, რომელიც სრული წარმატებით მიმდინარეობდა.

15 ივნისს სანაპირო დამრტყმელმა კოლონამ დაიკავა კრასნაია გორკას მახლობლად მდებარე სოფლები, ხოლო 16 ივნისის ღამეს, 0 საათსა და 30 წუთზე კრასნაია გორკა აღებულ იქნა. კრასნაია გორკას შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა ამბოხება სერაია ლოშადზედაც.

ფორტებზე ამბოხების ლიკვიდაციის შესახებ ამხანაგმა სტალინმა ლენინს გაუგზავნა დეპეშა:

„კრასნაია გორკას შემდეგ ლიკვიდირებულია სერაია ლოშადი. ქვემეხები იქ სრულ წესრიგშია... საზღვაო სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ კრასნაია გორკას აღება ზღვიდან თავდაყირა აყენებს მთელ საზღვაო მეცნიერებას. მე დამრჩენია მხოლოდ ვიგლოვო ეგრეთწოდებული მეცნიერება. გორკას სწრაფი აღება აიხსნება ჩემი და საერთოდ არასამხედრო პირების უაღრესად უხეში ჩარევით ოპერატიულ საქმეებში, რაც მიდიოდა ზღვასა და ხმელეთზე გაცემულ ბრძანებათა გაუქმებამდე და საკუთარი ბრძანებების თავზე მოხვევამდე. ჩემს მოვალეობად ვთვლი განვაცხადო, რომ მე შემდეგშიც ამგვარად ვიმოქმედებ, მიუხედავად მთელი ჩემი მოწიწებისა მეცნიერების წინაშე“ (კ. ვოროშილოვი, „სტალინი და წითელი არმია“, 1937 წ. გვ. 20).

კრასნაია გორკაზე ამბოხების ლიკვიდაციამ ბიძგი მისცა პეტროგრადში პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური და ჯაშუშური ორგანიზაციის აღმოჩენას. ქალაქში აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა დიდი კონტრრევოლუციური შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფლოტისა და არმიის ყოფილი მეფის ოფიცრების დიდმა რაოდენობამ. აქტიურ შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც „საზღვაო მეცნიერებას“ ამოფარებით ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ამხანაგ სტალინის ბრძანებებისათვის კრასნაია გორკასათვის ყუმბარების დასაშენად ბალტიკის გემების ზღვაში გაყვანის შესახებ.

პეტროგრადში კონტრრევოლუციური შეთქმულების სწრაფი ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ ნათქვამი იყო ლენინის ახალ დეპეშაში, რომელიც მან ამხანაგ სტალინს ივნისში პეტროგრადში გაუგზავნა. ამ დეპეშაში ლენინი სწერდა:

„პეტროგრადზე თეთრგვარდიელთა შემოტევის მთელი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ზურგში, და შეიძლება თვით ფრონტზედაც არსებობს ორგანიზებული მოღალატეობა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას თავდასხმა შედარებით უმნიშვნელო ძალებით, სწრაფი წინწაწევა, აგრეთვე ხიდების მრავალი აფეთქება პეტროგრადისკენ მიმავალ მაგისტრალებზე. ჰგავს იმას, რომ მტერი სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ ჩვენ არა გვყავს რამდენადმე ორგანიზებული სამხედრო ძალა წინააღმდეგობის გასაწევად და, გარდა ამისა, იმედი აქვს დახმარებისა ზურგიდან (საარტილერიო საწყობის ხანძარი ნოვო-სოკოლნიკში, ხიდების აფეთქებები, დღევანდელი ცნობები ორედეჟში აჯანყების შესახებ). გთხოვთ გაძლიერებული ყურადღება მიაქციოთ ამ გარემოებას და სასწრაფო ზომები მიიღოთ შეთქმულებების გამოსამჟღავნებლად“ („ბოლშევიკი“ № 2, 1938 წ., გვ. 71).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პეტროგრადში მიღებულ იქნა უაღრესად ენერგიული, ნამდვილი რევოლუციური ღონისძიებები შეთქმულების გამოსამჟღავნებლად.

პეტროგრადში შეთქმულების ლიკვიდაცია მოხდა შემდეგ პირობებში: ივნისის შუა რიცხვებში ქალაქ ლუგის რაიონში წითელარმიელთა ყარაულმა მოჰკლა ყოფილი ოფიცერი, პეტროგრადის არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი ნიკიტინი. მოკლულის გაჩხრეკის დროს პაპიროსის მუნდშტუკში აღმოაჩინეს წერილი ჩრდილოეთის თეთრგვარდიელთა კორპუსის სარდლის გენერალ როძიანკოს სახელზე, რომლის კორპუსიც პეტროგრადს უტევდა. ბარათს მოწერილი ჰქონდა „ვიკ“. გარდა ამ ბარათისა, პეტროგრადის საგანგებო კომისიას ჰქონდა მთელი რიგი დოკუმენტების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადის გმირული დაცვის ოცი წლისთავი

როგორ ავიღეთ „კრასნაია გორკა"

(მეზღვაურთა რაზმის ყოფილი კომისრის მოგონებანი)

თეთრგვარდიელთა არაერთი ცდება—ხელში ჩაეგდოთ რევოლუციის აკვანი წითელი პეტროგრადი—სრული მარცხით მთავრდებოდა. სამხრეთში თეთრგვარდიელები უკან იხევდნენ, მათ ჩვენი ნაწილები მიერეკებოდნენ, რათა სამხრეთის ფრონტისაგან ჩამოეშორებინათ ჩვენი ყურადღება და ძალები, იუდენიჩის თეთრგვარდიელმა ბანდიტებმა ინტერვენტებთან ერთად გადასწყვიტეს ახალი დარტყმა პეტროგრადზე.

1919 წლის 8 ივნისს დილით კრონშტადტის საბჭომ და რკპ (ბ) საქალაქო კომიტეტმა სასწრაფოდ მოიწვიეს გაფართოებული სადელეგატო კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. მარტინოვმა, საქალაქო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ. მან განაცხადა, „კრასნაია გორკაზე" და სხვა ნაწილებში ყველაფერი რიგზე ვერ არისო. საჭირო იყო ფორტების გარნიზონების გაძლიერება პარტიული მუშაკებით. გადასწყდა გავეგზავნათ ამხანაგები მარტინოვი, მოლოდცოვი, ლადანოვი, ორი ძმა ტიტოვები, სკალმეისტერი, ტრუბაჩოვი და კიდევ მთელი რიგი კრონშტადტელი მუშაკები.

საღამოს ჩამოყალიბდა რევოლუციური სამხედრო კომიტეტი, რომელმაც თავის ხელში აიღო მთელი ძალაუფლება და ყველგან სასტიკი კონტროლი დააწესა.

კრონშტადტის გარნიზონში, ისევე როგორც თვით ფლოტში, მხნე განწყობილება იყო.

1919 წ. 11 ივნისს წითელი ბალტიის ფლოტის სამხედრო საბჭომ მე გამიწვია ფლოტის კრონშტადტის ბაზის შტაბში. სამხედრო საბჭოსაგან ბრძანება მივიღე შემედგინა მეზღვაურთა რაზმი და ყოველ წუთს მზად ვყოფილიყავი. რაზმის უფროსად დანიშნულ იქნა ამხ. ანდრიუშა ალექსეევი, კომისრად კი მე ვიყავი. გემების კომანდების ნაპირზე გაშვება შესწყდა. ყველანი საბრძოლველად გამზადებული ვიყავით. დიდი გემების მე-2 რაზმის ჩვენი შტაბი კრეისერ „როსიაზე" იმყოფებოდა. 12 ივნისს მე კვლავ გამიწვიეს ფლოტის სამხედრო საბჭოში. ამ შემთხვევაში მივიღე კონკრეტული მითითება—რამდენი მეზღვაური დამეტოვებინა, შეტევის შემთხვევაში, გემებზე — ქონებისა და თვით გემების დასაცავად, და რამდენი წამეყვანა ფრონტზე.

13 ივნისს დილის 11 საათზე ბრძანება მივიღე გავსულიყავი ჩემი მეზღვაურთა რაზმით ლუზის მოედანზე. რამდენიმე წუთის შემდეგ რაზმი მოედანზე დაეწყო. ჩვენ გვაცნობეს, რომ ფორტმა „კრასნაია გორკამ" ამბოხება მოაწყო და კრონშტადტს ულტიმატუმი წაუყენა — შეერთებოდა მას. ულტიმატუმს ვადა გასდიოდა დღის 12 საათზე. ყველა კომუნარი დაპატიმრებულია და ფორტის კაზემატში „მძევლებად" ჰყავთ. იმ შემთხვევაში, თუ კრონშტადტის გარნიზონი და ნავსადგურში მდგომი გემები არ დაეთანხმებიან, „კრასნაია გორკა" ყუმბარებს დაუშენს კრონშტადტს და მოსპობს მას.

ამ ცნობის შემდეგ ჩვენი რაზმი ძახილით „იძლევი „კრასნაია გორკას!" დაიძრა ფრონტისაკენ. ამ მომენტისათვის ულტიმატუმს ვადა გაუვიდა და მეამბოხეებმა 12-დიუიმიანი ზარბაზნის ყუმბარები დაგვიშინეს. მეამბოხეთა შორსმსროლელი ქვემეხების ცეცხლქვეშ ვსხდებოდით ბუქსირებზე. ყველანი აღგზნებული ვიყავით სურვილით — მალე გადავსულიყავით ნაპირზე და ჩავბმულვიყავით ბრძოლაში. ორმხრივი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ გადავედით ორანიენბაუმის ნაპირზე და მაშინვე დავიძარით ამბოხებული ფორტისაკენ—„კრასნაია გორკისაკენ".

იმავე დღეს საღამოს ჩვენმა მარჯვენა ფლანგმა მიაღწია ბოლშიე იჟორის, ხოლო მარცხენა ფლანგმა—კოვშის.

14-ს დილით ჩვენმა მარცხენა ფლანგის ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს კოვში და წამოიყვანეს ტყვეები, რომელთა შორის აღმოჩნდა „კრასნაია გორკაზე" ამბოხების ხელმძღვანელის, გამცემელ ნეკლიუდოვის ადიუტანტი.

ეს ადიუტანტი ჩვენთან გამოეგზავნათ. მას მოჰქონდა წერილი, რომელშიაც წინადადებას გვაძლევდნენ დაუყოვნებლივ შევერთებოდით მათ და მათთან ერთად დაგვეწყო შეტევა პეტროგრადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ მოგვსპობდნენ ჩვენც და ჩვენს ამხანაგებსაც, რომლებიც შეპყრობილი ჰყავდათ მეამბოხეებს. გამცემელთა პროვოკაციამ და თავხედობამ ახალი ძალა და ბრძოლის სურვილი შეგვმატა. მტკიცედ დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში.

ამასობაში ჩვენ საბრძოლო წითელი გემები „პეტროპავლოვსკი" და „ანდრეი პერვოზვანნი" უშუალოდ მიადგნენ ამბოხებულ ფორტს, პირდაპირ დაუშინეს მას ყუმბარები და ანადგურებდნენ გამცემლებს. ამის შედეგად მეამბოხეებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს კრონშტადტზე სროლა, და „კრასნაია გორკაზე" ხანძარი გაჩნდა.

ჩვენს რაზმში უკვე იცოდნენ, რომ ყველა ოპერაციებს ხელმძღვანელობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად **ვ. ი. ლენინის** დავალებით ჩამოსული ამხანაგი **სტალინი.**

14 ივნისს საღამოს სანაპირო ჯგუფის შტაბში მოვიდა ამხანაგი სტალინი.

აქ მან მკაფიო ოპერატიული ბრძანება მოგვცა „კრასნაია გორკაზე" შეტევისათვის.

სრული ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ ჩვენი სამხედრო ფლოტი და ნაპირზე სხვა ფლანგებზე მყოფი რაზმები, რომელთა შემადგენლობაშიც ჩვენი რაზმის გარდა იყვნენ: მეზღვაურთა კიდევ ორი საექსპედიციო რაზმი, აგრეთვე მე-166 და მე-168 მსროლელი პოლკები და სხვა ნაწილები. ზუსტად ვიცავდით რა ამხანაგ სტალინის მიერ მოცემულ სტრატეგიულ გეგმას, 16 ივნისს დილით ადრე ავიღეთ „კრასნაია გორკა". ხოლო იმავე დღეს საღამოს 8 საათისათვის აღებულ იქნა „სერაია ლოშად" და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებიც. 17 ივნისს ბრძოლით დავიკავეთ კერნოვო, სადაც ვიპოვეთ მძევლად შეპყრობილ კომუნართა 290 ნეშტი. ისინი მხეცურად დაეფლითათ თეთრგვარდიელებს. შემდეგ ისინი რევოლუციური პატივისცემით დავკრძალეთ.

„კრასნაია გორკაზე" ამბოხების ლიკვიდაციით საბჭოთა ორგანოებმა შესძლეს აღმოეჩინათ ძაფები პეტროგრად-კრონშტადტში და აგრეთვე სხვა ქალაქებში მომქმედ კონტრრევოლუციონერ ჯაშუშთა ორგანიზაციებისა, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდნენ და ახალ მოღალატურ აქტებს ამზადებდნენ.

კრასნოვი.

მეზღვაურთა რაზმის ყოფილი კომისარი, ამჟამად ძერჟინსკის სახელობის სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის მე-2 რანგის სამხედრო ინჟინერი.

„1918 — 1920 წლების პერიოდში ამხანაგი სტალინი, ვგონებ, ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ერთი საბრძოლო ფრონტიდან მეორეზე ჰგზავნიდა, შეარჩევდა ხოლმე რა რევოლუციისათვის ყველაზე სახიფათო, ყველაზე საშიშ ადგილებს. იქ, სადაც შედარებით მშვიდობიანობა და სიწყნარე იყო, სადაც ჩვენ წარმატებები გვქონდა, — იქ სტალინი არ ჩანდა. მაგრამ იქ, სადაც მთელი რიგი მიზეზების გამო ირყეოდნენ წითელი არმიები, სადაც კონტრრევოლუციური ძალები, ანვითარებდნენ რა თავიანთ წარმატებებს, ემუქრებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების თვით არსებობას, სადაც შეძრწუნება და პანიკა ყოველ წუთს შეიძლებოდა გადაქცეულიყვნენ უმწეოდ, კატასტროფად, — იქ გამოჩნდებოდა ხოლმე ამხანაგი სტალინი. მას ღამეობით არ ეძინა; იგი რაზმავდა, თავის მტკიცე ხელში იღებდა ხელმძღვანელობას, იგი ამსხვრევდა, იყო დაუნდობელი და — ჰქმნიდა გარდატეხას, აჯანსაღებდა გარემოებას".

კ. ე. ვოროშილოვი

დიდი სტალინი გვამხნევებდა ბრძოლაში

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, მტრების რკალით გარემოცული, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ყველა ფრონტზე. წითელ არმიას ესაჭიროებოდა თავისი პროლეტარული მეთაურები. სამოქალაქო ომის ფრონტზე გმირულ ბრძოლასთან ერთად, ზურგში სწარმოებდა დიდი მუშაობა ფლოტის წითელი სპეციალისტების მოსამზადებლად. 1919 წლის გაზაფხულზე მე ვიყავი მასწავლებლად სასწავლო - საარტილერიო რაზმის სკოლაში, სადაც ამზადებდნენ ფლოტის მომავალ არტილერისტებს. ზურგში და ფრონტზე ჩვენი მტრების გამცემლური მოქმედების შედეგად პეტროგრადი დიდ საფრთხეში აღმოჩნდა. იუდენიჩის, როძიანკოს და სხვა არამზადების თეთრგვარდიელი ბანდები ამზადებდნენ პეტროგრადისათვის ლახვრის ჩაცემას.

მოახლოვებული საფრთხის წინაშე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პეტროგრადისა და უახლოესი რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„წითელი პიტერი სერიოზულ საფრთხეშია. პიტერის ფრონტი რესპუბლიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტი ხდება.

საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია თუნდაც სრულიად მოკლე ხნით დასთმოს პეტროგრადი. პეტროგრადი უნდა დავიცვათ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს".

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ჩვენ ვუპასუხეთ სამშობლოს ერთგული მასების მობილიზაციით წითელი პიტერის დასაცავად. მე დანიშნულ ვიქენი კრონშტადტელ მეზღვაურთა პირველი და მეორე გაერთიანებული საექსპედიციო რაზმების მეტყვიამფრქვეველთა გუნდის უფროსად. დაახლოებით 10 ივნისს მეზღვაურთა რაზმები გაიგზავნენ ორანიენბაუმში. 13 ივნისს გამცემლებმა ამბოხება მოახდინეს „კრასნაია გორკაზე". ჩვენ მივიღეთ ბრძანება წავსულიყავით ამბოხებული ფორტისაკენ.

თეთრგვარდიელებთან პირველი შეხვედრა მოხდა ბოლშიე იჟორისთან, რომელიც იმავე დღეს დავიკავეთ. მეორე დღეს განთიადზე ჩვენ შეტევა დავიწყეთ ლებიაჟიეს წინააღმდეგ.

სხვადასხვა ფლანგიდან შეტევაზე მიმავალი რაზმები „კრასნაია გორკასთან" შეერთდნენ. ნაპირის რაზმის შეტევა ელვისებურ ხასიათს ატარებდა. ქვეითა ჯარს ჯავშნიანი მატარებლები ეხმარებოდნენ თავისი ცეცხლით. ზღვიდან მას არტილერიის ცეცხლით ეხმარებოდნენ ბალტიის ფლოტის სამხედრო გემები.

ყურთა სმენა არ იყო ჭურვების ზუზუნისა და ღმუილისაგან. მიწა ზანზარებდა აფეთქებათაგან, რომლებიც ჰაერში აიტაცებდნენ ხოლმე ხეებსა და მიწის ვეებერთელა კოლბოხებს. მეამბოხეები არ მოელოდნენ ასეთ მოქმედებას ჩვენის მხრით, მათ ვერ გაუძლეს ორმაგ შეტევას — ხმელეთიდან და ზღვიდან — და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ფორტი. 16 ივნისს დილით ადრე „კრასნაია გორკაზე" ჩვენი წითელი დროშა აფრიალდა.

ამხანაგი **სტალინი** მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრონტზე იყო და საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. ამბოხების დაწყებიდანვე მან გადამწყვეტი ზომები მიიღო გათავხედებული მტრისათვის გამანადგურებელი ლახვრის ჩასაცემად. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ამხანაგი სტალინი, მას ყველგან, უაღრესად კრიტიკულ მომენტებში, შეჰქონდა შემოქმედებითი ბოლშევიკური გაქანება, ის ყველას აღაფრთოვანებდა განუხრელი გადაწყვეტილებით — მოესპოთ მტერი.

სამუდამოდ დარჩა ჩემს ხსოვნაში მიტინგი ორანიენბაუმში ამბოხებულთა ფრონტზე ჩვენი შეტევის წინ. ამ მიტინგზე გამოვიდა ამხანაგი **სტალინი.** მისი გამოსვლა მოკლე იყო, მაგრამ ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა რკინისებური ბოლშევიკური სიმტკიცე და შეურყეველი ნებისყოფა—დაგვეცვა პროლეტარული რევოლუციის ინტერესები მთელი ძალღონითა და ყველა საშუალებით.

— იმპერიალისტები ორმოებს გვითხრიან, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — მაგრამ ამ ორმოებში თვითონ მათ ჩავყრით ისე, რომ იქიდან ამოსვლა ვეღარ შესძლონ.

ამხანაგ სტალინის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მოვლენათა შემდგომი მსვლელობით სავსებით გამართლდა. თეთრგვარდიული სიბილწე ჩავყარეთ სწორედ იმ ორმოში, საიდანაც არასოდეს არავინ აღარ დაბრუნებულა.

ს. სინიცინი

გაერთიანებული საექსპედიციო რაზმების მეტყვიამფრქვეველთა გუნდის ყოფილი უფროსი, ამჟამად პირველი რანგის ინტენდანტი.

პლაკატი „მკერდით დავიცვათ პეტროგრადი!"

ამხანაგი სტალინი და პეტროგრადის დაცვა

პეტროგრადის დაცვაში ამხანაგ სტალინს განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნის. პეტროგრადი პროლეტარული მებრძოლი რაზმების შედგენის ცენტრი იყო. პიტერელ პროლეტართა შეურყეველ ნებისყოფას — დაეცვათ საბჭოთა ხელისუფლება — ყურს უგდებდნენ მთელი საბჭოთა რესპუბლიკის მუშები და გლეხები. პეტროგრადი იძლეოდა ახალ-ახალ და საუკეთესო ძალებს მრავალრიცხოვანი ფრონტებისათვის. საგრძნობლად პეტროგრადიდან მიდიოდა იარაღი და მომარაგება ფრონტებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ანტანტამ და რუსმა თეთრგვარდიელებმა გადასწყვიტეს რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ხელში ჩაეგდოთ ბოლშევიზმის ეს ციხე-სიმაგრე.

1919 წლის აპრილის მეორე ნახევარში ფინეთიდან საბჭოთა ტერიტორიაზე ანტანტის მითითებით გადმოსროლილ იქნა ეგრეთწოდებული „ოლონეცის მოხალისეთა არმია". ჩრდილოეთიდან პეტროზავოდსკზე შეტევას აწარმოებდნენ ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსი და რუსი თეთრგვარდიელები. 19 მაისიდან იწყება საერთო შეტევა პეტროგრადზე ნარვა-ფსკოვის ხაზით, პეტროგრადის მიმართულებით მოიწევს გენერლების იუდენიჩისა და როძიანკოს ბანდა, ხოლო ფსკოვის მიმართულებით — ბულაკ-ბალახოვიჩი. ამ უკანასკნელს მიზნად ჰქონდა გამოსულიყო პეტროგრად - მოსკოვის რკინიგზის ხაზზე და გადაეჭრა მიმოსვლა პეტროგრადსა და მოსკოვს შუა.

ამხანაგი **სტალინი** პეტროგრადში ჩამოვიდა მაისის 20-ის შემდგომ რიცხვებში და თავისი ჩვეული სიმტკიცითა და ენერგიით შეუდგა ფრონტის გაჯანსაღებას. „სამი კვირის განმავლობაში, — სწერს ამხ. ვოროშილოვი, — ამხანაგმა სტალინმა შესძლო გარდატეხის მოხდენა".

წინააღმდეგ წინანდელი გეგმებისა, რომლებიც მოითხოვდნენ სხვა ფრონტებიდან დამხმარე ძალების გამოგზავნას, ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა თავისი გეგმა — გათავხედებული ბანდიტების შემუსვრის გეგმა. ეს გეგმა გამოდიოდა ოთხი ძირითადი დებულებიდან:

ა) ჯაშუშთა და მავნებელ-თეთრგვარდიელთა ბუდეების ულმობლად მოსპობა როგორც ზურგში, ისე ფრონტზე.

ბ) პეტროგრადის პროლეტარიატის დაუშრეტელი ენერგიის ფართოდ გამოყენება;

გ) ფრონტზე მომქმედი ნაწილების განმტკიცება პარტიულ-კომკავშირული ძალებით და მებრძოლთა შორის პოლიტმუშაობის გაძლიერება;

დ) საკმაო ძალებისა და საშუალებების დაგროვება მთელ ფრონტზე გადამწყვეტი შეტევისათვის.

ინგლის-ესტონეთის ფლოტი, რომელმაც შეტევითი ოპერაციები დაიწყო, პირველ დღეებშივე წააწყდა წითელი ბალტიის ფლოტის მედგარ წინააღმდეგობას და დამარცხება განიცადა. შუა მაისში ჩვენს ნაღმებზე აფეთქდა ინგლისის კრეისერი „კიურასო". 18 მაისს საესკადრო ნაღმოსანი „გავრიილი" ჩაება უთანასწორო ბრძოლაში ინგლისელთა საესკადრო ნაღმოსნებთან. ეს ბრძოლა ინგლისელების სამარცხვინოდ ფრედ დამთავრდა. 31 მაისს საესკადრო ნაღმოსანი „აზარდი" სახაზო გემ „პეტროპავლოვსკის" (ამჟამად „მარატი") არტილერიის ცეცხლის დახმარებით გმირულად ებრძოდა ინგლისელთა რვა საესკადრო ნაღმოსანს. 4 ივნისს საესკადრო ნაღმოსნებმა „აზარდმა" და „გავრიილმა" ჩასძირეს ინგლისელთა წყალქვეშა ნავი „L 55". 16 ივნისს ჩვენს ნაღმებზე აფეთქდა და ჩაიძირა ტრალერები „ჯენტნანი" და „მირტლე". 18 აგვისტოს კრონშტადტზე თავდასხმისას ინგლისელებმა დაჰკარგეს სამი ტორპედიანი კატარღა, რომლებიც ჩაძირულ იქნენ საესკადრო ნაღმოსან „გავრიილის" ცეცხლით. 31 აგვისტოს ჩვენმა წყალქვეშა ნავმა „პანტერამ" ტორპედით ჩასძირა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ვიქტორია", ხოლო 4 სექტემბერს ნაღმებზე აფეთქდა და ჩაიძირა ამავე ტიპის საესკადრო ნაღმოსანი „ვეროულამი". ასეთია სამგლოვიარო ნუსხა ინგლისის სამეფო ფლოტის დანაკარგებისა წითელი ბალტიის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლებში 1919 წელს.

მხედველობაში ჰქონდა რა ეს წარმატებითი ოპერაციები, ამხანაგი სტალინი შემდეგნაირად ახასიათებს ბალტიის ფლოტის საბრძოლო მოქმედებას ამ პერიოდში:

„არ შეიძლება არ მივესალმოთ იმას, რომ ბალტიის ფლოტი, რომელიც დაღუპულად მიაჩნდათ, სავსებით რეალურად განიცდის აღორძინებას... კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ბალტიის მატროსებმა ცვლავ ჰპოვეს თავისი-თავი, თავიანთი გმირული საქმეებით მათ გააცოცხლეს რუსეთის რევოლუციური ფლოტის საუკეთესო ტრადიციები. ამ პირობების გარეშე პეტროგრადი დაცული არ იქნებოდა უაღრესად საშიშ მოულოდნელობათაგან ზღვის მხრიდან. ჩვენი ფლოტის აღორძინებას ყველაზე ტიპიურად ახასიათებს ჩვენი ორი ნაღმოსნის უთანასწორო ბრძოლა მტრის ოთხ ნაღმოსანთან და სამ წყალქვეშა ნავთან, რაც ივნისში მოხდა. ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჩვენმა ნაღმოსნებმა, მატროსების თავგანწირულებისა და მომქმედი რაზმის უფროსის უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით. მათ ჩასძირეს მტრის წყალქვეშა ნავი"[1].

[1] ვოროშილოვი, „სტალინი და წითელი არმია", მე-2 გამოც. 1937 წ. გვ. 103.

ამხანაგ **სტალინის** მითითებით, ყოველ 3-5 საათში კრონშტადტიდან და პეტროგრადიდან ფრონტზე, „კრასნაია გორკისაკენ" იგზავნებოდა არაერთი ათასი მატროსი. „კრასნაია გორკისათვის" ზღვის მხრიდან სროლის ასატეხად საზღვაო „სპეციალისტების" ნებასურვილის წინააღმდეგ, ამხანაგ სტალინის გადამწყვეტი ჩარევის შემდეგ გარე რეიდზე გაყვანილ იქნა სახაზო გემი „პეტროპავლოვსკი". სახაზო გემი „ანდრეი პერვოზვანნი", კრეისერი „ოლეგი", საესკადრო ნაღმოსნები „ვსადნიკი" და „გაიდამაკი" ნაპირების გასწვრივ მიმოდიოდნენ და თავისი ყუმბარებით ანადგურებდნენ ამბოხებულ ფორტსა და თეთრების პოზიციებს. სამი დღის განმავლობაში მათ 1.600-მდე ყუმბარა გაისროლეს.

ამხანაგი სტალინი პირადად ჩადის ფრონტზე. ორანიენბაუმში, გემის ქუჩაზე № 5 სახლში, სანაპირო ჯგუფის შტაბიდან, ხოლო შემდეგ მაკაროვის აგარაკიდან (ორანიენბაუმს იქით) ამხანაგი **სტალინი** ხელმძღვანელობს შეტევას ამბოხებულ ფორტზე ხმელეთიდან და ზღვიდან.

წითელი არმიის ნაწილებთან და მატროსთა რაზმებთან ერთად, ხელმძღვანელობდა რა მათს შეტევას „კრასნაია გორკაზე", მიდიოდა ამხანაგი სტალინიც. სოფელ ბოლშიე გორკის რაიონში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლას. ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „კრასნაია გორკას" აღებისათვის. „კრასნაია გორკას" აღებისთანავე ამხანაგი სტალინი დაუყოვნებლივ მიდის იქ. მისი თანადასწრებით ჩატარდა ფორტზე შესულ სანაპირო რაზმის მებრძოლთა მიტინგი.

ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საბრძოლო ოპერაციების მსვლელობას კარელიისა და პეტროზავოდსკის უბნებზე. ამხანაგმა სტალინმა საუკეთესოდ გაითვალისწინა, რომ თეთრების შეტევა საფრთხეს უქმნიდა პეტროგრადის კომუნიკაციებს: იყო საშიშროება, რომ მტერი გადასჭრიდა მურმანსკის რკინიგზას, მარიინს სანაოსნო სისტემას და შემდეგ სადგურ ზვანკასთან გამოსვლით შესწყვეტდა მიმოსვლას ჩრდილოეთის რკინიგზაზე. ამიტომ ამხანაგი **სტალინი** ბრძანებას აძლევს ბალტიის საზღვაო ძალების უფროსს გაგზავნოს ლადოგის ტბაში საესკადრო ნაღმოსნები „ამურეცი" და „უსურიეცი".

მთელი ოლონეცის მოხალისეთა არმიის ლიკვიდაციის მიზნით, ამხანაგ სტალინის მითითებით, ივნისის დამლევს ფლოტის სარდლობამ ხმელეთის ძალების სარდლობასთან ერთად შეიმუშავა მეტად გაბედული სადესანტო ოპერაციის გეგმა. ამ ოპერაციას ეწოდა „ტულოქსა-ვიდლიცის" ოპერაცია. მისი მიზანი იყო თეთრგვარდიელ-ფინელთა ძალების ბაზის მოსპობა მდინარეების ტულოქსისა და ვიდლიცის რაიონში, იმ ადგილას, სადაც ეს მდინარეები ლადოგის ტბას ერთვიან. ეს გულმოდგინედ დამუშავებული ოპერაცია ბრწყინვალედ შესრულდა 26-28 ივნისს ჩვენმა ონეგა-ლადოგის ფლოტილიამ. ფლოტილიის გემებსა და მოწინააღმდეგის სანაპირო ბატარეებს შორის 10-12-საათიანი ბრძოლის შემდეგ ფლოტილიის გემების საარტილერიო ცეცხლის მფარველობით გადამსხდარმა წითელარმიელთა და მეზღვაურთა დესანტმა აიღო ტულოქსა და ვიდლიცა. რაზმმა ხელში ჩაიგდო დიდი ნადავლი: 11 ქვემეხი, რამდენიმე ათასი ჭურვი, 2.000-მდე შაშხანა, მილიონობით ვაზნები, 12 ტყვიამფრქვევი, 3 ყუმბარმტყორცნი აპარატი, 4 ავტომატი, სურსათის, საბრძოლო და სამეურნეო მოწყობილობის საწყობები.

ამხანაგი **სტალინი**, რომელიც თვალყურს ადევნებდა ლადოგის ფლოტილიის ოპერაციას, იმავე დღეს (28 ივნისს) მისასალმებელ დეპეშას უგზავნის წითელარმიელებსა და ლადოგის ფლოტილიის მეზღვაურებს და მაშინვე ატყობინებს ამას ამხანაგ **ლენინს**. დეპეშაში ამხანაგ ლენინის სახელზე ამხანაგი სტალინი იუწყება:

„დღეს ჩვენმა ნაწილებმა ჩვენი ლადოგის ფლოტის დახმარებით უეცარი დარტყმით აიღეს ვიდლიცის ქარხანა ფინეთის საზღვართან, ხელში ჩაიგდეს 11 ქვემეხი, მდიდარი საარტილერიო და სასურსათო საწყობები. წამოღებულ ჭურვებს, ვაზნებს ტყიამფრქვევებს ვითვლით". (ჟურნალი „ბოლშევიკ", 1938 წ. № 2).

პეტროგრადის და სამხრეთის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის, 1919 წ. 20 ნოემბერს სრულიად-რუსეთის ცაკმა ამხანაგი სტალინი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

პ. სივკოვი

პეტროგრადის ბაზის მეზღვაურთა საექსპედიციო რაზმის ასეულის პარტუჯრედის ყოფ. მდივანი, ამჟამად პოლკის კომისარი.

რომლებმაც მას შესაძლებლობა მისცეს მალე აღმოეჩინა ამ ბარათის ავტორი. აღმოჩნდა რომ „ვიკ" არის შტეინინგერი, კადეტი, ინჟინერი, პეტროგრადის არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მეთაური, ანტანტისა და იუდენიჩის ერთერთი მთავარი ჯაშუში. იგი ჰგზავნიდა იუდენიჩის შტაბში ცნობებს წითელი არმიის ნაწილების დისლოკაციისა და საომარი მასალის შესახებ.

აქტიურ თეთრგვარდიელ შეთქმულთა შორის იყვნენ: გენერალური შტაბის ყოფილი გენერალი მახროვი, რომელიც იყო იუდენიჩის წარმომადგენელი და აერთიანებდა ყველა სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციების საქმიანობას ნაციონალურ ცენტრთან (ის მსახურობდა დასავლეთის ფრონტის შტაბში და დავალებული ჰქონდა კავშირი მე-7 წითელ არმიასთან); სუხოვი, კადეტი, იუდენიჩის სამხედრო ჯაშუში, რომელიც მუშაობდა ვარშავის რკინიგზის რევიზორად, აძლევდა შტეინინგერს სამხედრო ხასიათის ცნობებს: გრეკოვი, ინჟინერი იუდენიჩის ჯაშუში; გრიგორიევი, ყოფილი ოფიცერი-არტილერისტი, მსახურობდა პეტროგრადის საოლქო სამხედრო კომისარიატის დაზვერვის განყოფილებაში, აძლევდა ნაციონალურ ცენტრს საიდუმლო სამხედრო ცნობებს, მიიღო იუდენიჩისაგან 40 ათასი მანეთი ჯაშუშური მუშაობისათვის, და სხვები.

ამასთან ერთად კრონშტადტში აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც იქ აჯანყებას ამზადებდა. აქტიურ შეთქმულთა შორის აქ იყვნენ კრონშტადტის საზღვაო ბაზის შტაბის უფროსი რიბალტოვსკი, საზღვაო სიმაგრის არტილერიის უფროსი ბუტკევიჩი და სხვ., სულ 17 შეთქმული. შტეინინგერის ბინაზე დააპატიმრეს მენშევიკი როზანოვი.

შეთქმულების გამომჟღავნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პეტროგრადში ყველა ბურჟუაზიული ბინის გაჩხრეკას. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათასი პეტროგრადელი მუშა. პირველი მასობრივი ჩხრეკა მოხდა კრასნაია გორკაზე კონტრრევოლუციურ ამბოხებასთან დაკავშირებით. ჩხრეკის შედეგებმა გამოარკვიეს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პირდაპირი კავშირი უცხოეთის საკონსულოებთან, რომელთა ბინებში აღმოაჩინეს დოკუმენტები. ეს დოკუმენტები ყოველ ეჭვს გარეშე ადასტურებდნენ ზოგიერთი დიპლომატების ჯაშუშურ მუშაობას. ამ შენობების გაჩხრეკის დროს, რომლებიც ეკუთვნოდა საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, დანიის, რუმინეთისა და სხვა საელჩოებს, აღმოჩენილ იქნა არა მარტო დოკუმენტები, არამედ ნივთიერი საბუთებიც ტყვიამფრქვევების, შაშხანების, საომარი მასალების, ფარული კომუტატორების და სხვ. სახით. რუმინეთის საელჩოს შენობაში ერთი ქვემეხიც კი აღმოაჩინეს.

ბურჟუაზიული ბინების გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 6626 შაშხანა, 141.895 ვაზნა, 644 რევოლვერი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარა, პიროქსილინის კოჭები და სხვ. ეს იყო მთელი არსენალი, რომელიც თეთრგვარდიელ შეთქმულებს დამალული ჰქონდათ იმისათვის, რომ შეეიარაღებინათ საბჭოთა ხელისუფლების მტრები და პეტროგრადში მოეწყოთ ამბოხება.

მიიღო რა ცნობა პეტროგრადში ჩატარებული ჩხრეკის შედეგების შესახებ, ამხანაგმა ლენინმა მოუწოდა მთელ რესპუბლიკას მიებაძნათ პეტროგრადელი მუშების მაგალითისათვის.

ნაციონალური ცენტრის პეტროგრადის განყოფილების ლიკვიდაციის შედეგად სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ მალე მოახერხა აღმოეჩინა და მოესპო ცენტრის ძირითადი ბირთვი, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა.

1919 წლის 23 ნოემბერს გამოქვეყნდა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის ცნობა ანტანტის ჯაშუშთა დიდი კონტრრევოლუციური შეთქმულების გამომჟღავნების შესახებ.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია იუწყებოდა: „ახლა, როდესაც დენიკინის ურდოები ცდილობენ შემოიჭრან საბჭოთა რუსეთის ცენტრში, ანტანტის ჯაშუშები ამზადებდნენ აჯანყებას მოსკოვში. როგორც ერთ დროს პეტროგრადის ფრონტზე მათ გადასცეს მოწინააღმდეგეს კრასნაია გორკა და კინაღამ არ გადასცეს კრონშტადტი და პიტერიც, ისე ახლაც ისინი ცდილობდნენ გაეხსნათ მტრისათვის მოსკოვის კარი. ეს არამზადები ძალიან ჩქარობდნენ! მათ „ხელისუფლების ორგანოც" კი მოამზადეს იმ შემთხვევისათვის, თუ გაიმარჯვებდნენ, და მათი ნაციონალური ცენტრი, რომელიც ინგლისელებს მიეყიდა, უნდა ამოტივტივებულიყო ზედაპირზე, როგორც კი გენერლების შეთქმულებითი ორგანიზაცია აიღებდა მოსკოვს.

მაგრამ მოღალატეები და ჯაშუშები ანგარიშში მოტყუვდნენ! მათ ყელში სწვდა რევოლუციური პროლეტარიატის ხელი და ჩააგდო უფსკრულში, საიდანაც ისინი ვეღარ დაბრუნდებიან.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია მიმართავს ყველა ამხანაგ მუშებსა და გლეხებს: „ამხანაგებო! იყავით ფხიზლად! იყავით რესპუბლიკის სადარაჯოზე დღე და ღამე! მტერი ჯერ არ არის განადგურებული მთლიანად. ნუ მოაშორებთ მას თვალს!" (რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კედლის გაზეთის სასწრაფო გამოშვება № 66, 1919 წ. 23 ნოემბერი).

ამგვარად, პეტროგრადში შეთქმულების გამომჟღავნებამ ხელი შეუწყო ყველაზე მსხვილი ჯაშუშური ორგანიზაციის—ნაციონალური ცენტრის ძირითადი ბირთვის ლიკვიდაციას.

ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით პეტროგრადში ჩატარებულ სპეციალურ მუშაობას არალეგალური კონტრრევოლუციური ბუდეების ლიკვიდაციის საქმეში საერთო - რესპუბლიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან განამტკიცა მე-7 წითელი არმიის ზურგი, რომელიც იცავდა პეტროგრადის მისასვლელებს, იგი დაეხმარა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიას მოესპო მოსკოვში ანტანტის ჯაშუშების გველური ბუდე.

პეტროგრადის ფრონტზე გამარჯვებამ და კონტრრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაციების ლიკვიდაციამ ზაფხულში უზრუნველჰყვეს გამარჯვება და შემოდგომაზე თეთრგვარდიელთა ბანდების საბოლოო განადგურება, რომლებმაც ერთხელ კიდევ სცადეს დაეპყროთ წითელი პეტროგრადი.

პეტროგრადში 1919 წელს ანტანტის ჯაშუშთა და თეთრგვარდიელ შეთქმულთა არალეგალური მუშაობის მთელი ისტორია მოწმობს, რომ მტრები სარგებლობდნენ ტროცკისტებისა და ზინოვიევლების მფარველობითა და ფაქტიური მხარდაჭერით. ამას მოწმობს, მაგალითად, მუშაობა ინგლისის პროფესიული ჯაშუშის დორიან ბლეირისა, რომელიც ამ დროს პეტროგრადში იმყოფებოდა და რომელმაც ინგლისის დაზვერვის დავალებით გაშალა ფართო დივერსიული მუშაობა.

ამ ინგლისელ პროფესიულ ჯაშუშს განსაკუთრებით მფარველობდა გამცემი ზინოვიევი. მან დაისახა ამოცანა — მწყობრიდან გამოეყვანა პეტროგრადისა და მე-7 წითელი არმიის მთელი ავტოტრანსპორტი. ამ ჯაშუშმა ზინოვიევის დახმარებით მოახერხა საბჭოთა სამსახურში მოეწყობა ავტოტრანსპორტის „სპეციალისტის" სახით. კაპიტალური რემონტის მომიზეზებით მან თავის სარემონტო სახელოსნოში შეაგროვა მანქანებისა და მოტოციკლების დიდი რაოდენობა. შემდგომი კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ თვით ბლეირი მოგვითხრობს: „ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ მთელი დატვირთვით ავამუშავეთ სარემონტო სახელოსნო, ხოლო კიდევ ერთი კვირის შემდეგ არ იყო არცერთი დაუშლელი მანქანა ან მოტოციკლი, რომლის ნაწილები გადატანილი არ ყოფილიყოს სახელოსნოში, ხოლო ცალკეული უმნიშვნელოვანესი ნაწილები მოხსნილი არ ყოფილიყო. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო საბოტაჟის ყველაზე დიდი აქტი, ჩატარებული ერთი კაცის მიერ და მიმართული ბოლშევიკების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ზურგში.

მე ბედმა გამიღიმა. მე არ დამჭირებია პირდაპირი დამხმარენი განზრახული შეთქმულების შემდგომ აქტში. მე საკმაო რაოდენობით მყავდა არაპირდაპირი დამხმარენი.

8 თუ 9 კვირის განმავლობაში დამარღვეველი მუშაობა შესრულებულ იქნა და ამ ხნის დამლევს აღარ დარჩენილა არცერთი წესიერი მანქანა, არცერთი წესიერი მოტოციკლი. ყველაფერი იქცა ნაწილების გროვად და არავის შეეძლო დანგრეული მანქანების ცვლავ აწყობა" (სსრ კავშირის ცაკის „იზვესტია", 1937 წ. 12 ივნისი). პეტროგრადის ფრონტის ზურგში კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ისტორია გვიჩვენებს, რომ თეთრგვარდიელთა იატაკქვეშეთის ლიკვიდაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წითელი არმიის გადამწყვეტი გამარჯვება ფრონტებზე.

კონტრრევოლუციასთან ბრძოლა ზურგში მოითხოვდა განსაკუთრებულ ძალღონეს, განსაკუთრებულ ენერგიას, ულმობელ, გადამწყვეტ ზომებს, რევოლუციურ სიფხიზლეს პარტიული და საბჭოთა აპარატების ყოველ რგოლში.

მოდიოდა რა პეტროგრადზე, იუდენიჩს სრული გამარჯვების იმედი ჰქონდა, ვინაიდან იცოდა, რომ წითელი არმიის ზურგში მის სასარგებლოდ მუშაობს ანტანტის ჯაშუშთა და თეთრგვარდიელ შეთქმულთა დიდი რაოდენობა. მტრის გეგმა ვერ განხორციელდა მხოლოდ იმიტომ, რომ პეტროგრადის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ თავისი ღირსების საქმედ ჩასთვალა შეესრულებინა პარტიისა და მთავრობის დირექტივები, **ლენინისა** და **სტალინის** პირადი მითითებანი. პეტროგრადის პროლეტარიატმა შესძლო ეპოვნა საკმაო ძალები ფრონტზე მტრული შემოტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და თეთრგვარდიელთა იატაკქვეშეთის სრული განადგურებისათვის.

იაპონია ინგლისელებს ჩინეთიდან აძევებს

ამ უკანასკნელ ხანებში მკვეთრად გაძლიერდა იაპონიის სამხედრო ხროვის ცდა განდევნოს ინგლისელები ჩინეთიდან. იაპონიის პრესა დაჟინებით მოითხოვს საერთაშორისო სეტლმენტების ხელში ჩაგდებას ჩინეთის ტერიტორიაზე. იაპონელებმა ერთხელ უკვე სცადეს ხელში ჩაეგდოთ საერთაშორისო სეტლმენტი გულანსუში. როგორც ვიცით, ეს ცდა მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, იაპონელები წინანდებური შეუპოვრობით განაგრძობენ ინგლისელების გაძევებას ჩინეთის სხვადასხვა პუნქტებიდან.

იაპონელები აფერხებენ ინგლისის გემების მიმოსვლას ჩინეთის წყლებში. ამას წინათ იაპონელმა პროვოკატორებმა უწესოება მოაწყეს პუტინში (შანხაი) ინგლისის ფირმის კუთვნილ ქარხანაში. იაპონელმა ჯარისკაცებმა მოკლეს ამ ქარხნის მოსამსახურე ინგლისელი ტინკლერი. მაისის უკანასკნელ რიცხვებში იაპონიის ხელისუფლების ორგანოებმა დააპატიმრა ინგლისის სამხედრო ატაშე ჩინეთში პოდპოლკოვნიკი სპირი. ინგლისის ტოკიოელი ელჩის მოთხოვნაზე — გაენთავისუფლებინათ სპირი—იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ უარი განაცხადა.

ამჟამად იაპონელებმა კვლავ ზიანი მიაყენეს ინგლისის ინტერესებს ჩინეთში.

ჯერ კიდევ 31 მაისს იაპონელებმა ინგლისის საკონსულოს ტიანძინში მოსთხოვეს გადასცეს მათ ოთხი ჩინელი, რომლებმაც თითქოს მოკლეს იაპონიის აგენტი ვინმე ჩენ სი-კენი. ინგლისელებმა უარჰყვეს ეს მოთხოვნა. მაშინ იაპონელებმა ულტიმატუმი წაუყენეს ინგლისის კონცესიის ხელისუფალთ — გადასცენ მათ ჩინელები ორი დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონელები კონცესიას ბლოკადით დაემუქრნენ. ამის შემდეგ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს იაპონიის სამხედრო ხროვისათვის იმ ანტიიაპონურ მოღვაწეთა გადაცემა, რომლებიც კონცესიის ტერიტორიაზე იმალებიან.

მაგრამ ამ დათმობამ იაპონელები არ დააკმაყოფილა: 13 ივნისს მათ უარჰყვეს ინგლისის წარმომადგენელთა წინადადება შეექმნათ შერეული კომისია, რათა განეხილათ იაპონელების პრეტენზიები.

14 ივნისს იაპონელები შეუდგნენ ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონცესიების ბლოკადას ტიანძინში და შემოარტყეს მათ მავთულხლართი. იაპონელ ჯარისკაცთა და პოლიციელთა რაზმებმა ალყა შემოარტყეს კონცესიების ტერიტორიას. იაპონელები სასტიკ დაკითხვას ახდენენ და სჩხრეკენ ყველას, ვინც კონცესიებისაკენ მიემართება. მთელი საქმიანი ცხოვრება მათს ტერიტორიაზე დარღვეულია.

ინგლისის პრესა არ მალავს შეშფოთებას ტიანძინში კონფლიქტის შესაძლებელი შედეგების გამო. გაზეთები მოითხოვენ, რათა ინგლისის მთავრობამ არ დაუთმოს იაპონელების ზემოქმედებას.

ინგლისის ელჩმა ტოკიოში პროტესტი განუცხადა იაპონიის მთავრობას. (საკდესი).

ინგლის-იაპონიის ურთიერთობა

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბეტლერმა განაცხადა, რომ ინგლისის ღონისძიებანი იაპონელების მიერ ტიანძინში ინგლისის კონცესიისათვის ბოიკოტის გამოცხადებასთან დაკავშირებით არ იქნება მთლად დამოკიდებული იაპონელთა მოქმედების ხასიათზე. ინგლისის მთავრობას მჭიდრო კონტაქტი აქვს ამ საკითხში საფრანგეთისა და ამერიკის მთავრობებთან. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ იაპონელები ანალოგიურ ზომებს მიიღებენ ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ ჩინეთის სხვა ნაწილებში. ამიტომ ინგლისის მთელი რიგი დეპარტამენტები იხილავენ კონტრზომებს იაპონელების წინააღმდეგ. „დეილი მირორის" სიტყვით განზრახულია შემდეგი რეპრესიული ზომების მიღება: 1) ტარიფის გადიდება იაპონიის საქონელზე, რომელიც ინგლისში შემოდის, 2) სავალუტო შეზღუდვები და 3) ბრიტანეთის იმპერიის ნავსადგურებით სარგებლობის აკრძალვა იაპონიის გემებისათვის.

ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, სწერს გაზეთი, რომ იაპონელების მიერ ინგლისის კონცესიის ბლოკადა ტიანძინში პირველი ნაბიჯია იმისაკენ, რომ იაპონელებმა შორეულ აღმოსავლეთში განახორციელონ ინგლისის ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო გეგმები. გაზეთი იუწყება, რომ მზადდება მაშველი ძალების გაგზავნა ინგლისის ფლოტისათვის ჩინეთის წყლებში.

გუშინ ბეტლერმა მიიღო დელეგაცია ჩინეთის საქმეთა ქვეკომისიის (თემთა პალატის საგარეო-პოლიტიკურ კომიტეტთან) წარმომადგენელთა შემადგენლობით და დელეგაცია, რომელიც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთაგან შესდგებოდა. ორივე დელეგაციამ მოითხოვა გადამწყვეტი ზომების მიღება იაპონელების მიერ ჩინეთში ინგლისის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.

იაპონია ძალას ატანს ინგლისს

ტოკიო, 14 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ნიცი-ნიცი" იუწყება, რომ დღეს შესდგა პრემიერის ხირანუმის თათბირი სამხედრო მინისტრ იტაგაკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ არიტასთან. ტიანძინის მდგომარეობის საკითხის განხილვის შემდეგ მინისტრები შეთანხმდნენ, რომ არ იქნას შესუსტებული ის ღონისძიებანი, რომლებსაც იღებს იაპონია ინგლისისა და საფრანგეთის კონცესიების მიმართ მანამდე, სანამ ინგლისი არ ალიარებს ახალ სიტუაციას შორეულ აღმოსავლეთში და „არ გამოიჩენს გულწრფელობას იაპონიასთან თანამშრომლობის საქმეში შორეულ აღმოსავლეთში ახალი წესის დამყარებისათვის".

ჩინეთის 80 დივიზია იაპონელთა ზურგში

ჩუნცინი, 14 ივნისი (საკდესი). ქალაქ ჩუნცინის ჩინელ ჟურნალისტთა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა ჯენ ჩენმა (ჩინეთის სამხედრო საბჭოს პოლიტიკური განყოფილების უფროსი). ჯენ ჩენმა განაცხადა, რომ ამჟამად იაპონიის არმიის მიერ „დაპყრობილ" ტერიტორიაზე ჩინეთის რეგულარული ჯარის 80 დივიზია მოქმედებს. ამ უკანასკნელ პერიოდში თითქმის 50 დივიზიამ მიიღო სპეციალური დანიშნულება ემოქმედნათ მტრის ზურგში, რის გამოც ისინი ხელახლა შეიარაღებულ და რეორგანიზებულ იქნენ.

ჟურნალისტთა შეკითხვების საპასუხოდ გენერალმა ჯენ ჩენმა განაცხადა: „ჩვენ ვემზადებით გენერალური შეტევისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ ამ შეტევას მომავალ წელს დავიწყებთ. საბოლოო გამარჯვება განმათავისუფლებელ ომში ნიშნავს არა მარტო ომის წინ არსებული სტატუს-ქვოს აღდგენას, არამედ წინათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასაც მანჯურიის 4 ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციის ჩათვლით".

ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 14 ივნისი (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ დემოკრატთა 12 ხმის უმრავლესობით რესპუბლიკელთა 8 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კანონის გადასინჯვას ნეიტრალიტეტის შესახებ, მეომარ სახელმწიფოებში იარაღის შეტანის ემბარგოს (აკრძალვის) გაუქმების ჩათვლით. ამრიგად ამ კომისიის წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰელის წინადადებას. კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე, რომ მეომარ სახელმწიფოთა მიერ შესყიდული საქონელი მათი საკუთრება ხდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამ საქონლის გატანამდე. ომის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს „სამხედრო ზონების" არსებობა, სადაც, შესაძლებელია, აეკრძალოს ყოფნა ამერიკის მოქალაქეებსა და გემებს. ამის გარდა, იზღუდება მეომარ სახელმწიფოთათვის სესხის მიცემა, ხოლო ამერიკელებს ეკრძალებათ ამ სახელმწიფოთა გემებით მოგზაურობა. თანახმად ცნობებისა, ამ კანონპროექტით გათვალისწინებული შეზღუდვანი არ გავრცელდება ამერიკის ქვეყნებზე.

ევროპის ომის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან იარაღის გატანის აკრძალვა არ იქნებოდა ხელსაყრელი ინგლისისა და საფრანგეთისათვის. იზოლაციონისტი სენატორები ობსტრუქციით იმუქრებიან, რათა ხელი შეუშალონ კონგრესს ამ კანონპროექტის მიღებაში.

სუნიერის მოლაპარაკება რომში

პარიზი, 14 ივნისი (საკდესი). რომიდან იტყობინებიან, რომ გუშინ ხანგრძლივი საუბარი გაიმართა მუსოლინისა და ფრანკოს მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრ სერანო სუნიერს შორის.

ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობათა მიხედვით, რომის დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ რომ სუნიერის დარბაზობას აგრეთვე ფრანკოს სამხედრო და საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენელთა და იტალიის სარდლობის წარმომადგენელთა მოლაპარაკებას მიზნად ჰქონდა საფუძველი ჩაეყარა მოლაპარაკებისათვის ეკონომიურ, კულტურულ და სამხედრო შეთანხმებათა დასადებად. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო ბურგოსს მიემგზავრება მოლაპარაკების დასამთავრებლად. ფრანკო რომში ჩავა მიმდინარე წლის სექტემბერში ამ შეთანხმებათა ხელმოსაწერად.

ტიანძინის ამბები

ტოკიო, 14 ივნისი (საკდესი). დღეს პრეს-კონფერენციაზე იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იაპონიის ხელისუფლებამ ტიანძინში უარი განაცხადა მიეღო ინგლისის გენერალური კონსულის წინადადება კომისიის შედგენის შესახებ იაპონიის აგენტის ჩენ სი-კენის მკვლელობაში ეჭვმიტანილ 4 ჩინელის დანაშაულის გამოსარკვევად. მან განაცხადა აგრეთვე, რომ იაპონელთა ხელისუფლებამ უარჰყო ინგლისის მოთხოვნა გადაედო კონცესიის ბლოკადა.

ინგლისის ელჩმა ტოკიოში კრეიგიმ დღეს ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი არიტა და პროტესტი განუცხადა მას იაპონიის ჯარის მიერ ინგლისის ტიანძინის კონცესიის ბლოკადის გამო.

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია პოლონეთის საზღვართან

პარიზი, 14 ივნისი (საკდესი). საღამოს გაზეთი „სე სუარი" აქვეყნებს ვარშავიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლონეთის საზღვრებთან, ჩეხიასა და სლოვაკიაში, თავმოყრილია 250 ათასი გერმანელი ჯარისკაცი. გერმანელები საჩქაროდ აგებენ სიმაგრეებს პოლონეთ-სლოვაკიის საზღვრის გასწვრივ. სლოვაკიისაკენ მიმავალი ყველა გზა ამჟამად სავსეა გერმანიის ჯარით, რომელიც პოლონეთის მოსაზღვრე რაიონებში იგზავნება.

იდენი პარიზს ჩავიდა

პარიზი, 14 ივნისი (საკდესი). დღეს პარიზს ჩამოვიდა ინგლისის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი. იდენს განზრახვა აქვს გამოვიდეს პარიზში საჯარო მოხსენებით.

ინგლისის სამხედრო დელეგაცია თურქეთში ჩავიდა

ანკარა, 15 ივნისი (საკდესი). დღეს ანკარაში ჩამოვიდა ინგლისის სამხედრო დელეგაცია გენერალ მარლინგისა და კაპიტან ლინდსეის შემადგენლობით.

გაზეთ „რეპუბლიკის" ცნობით, ინგლისის დელეგაცია იმისათვის ჩამოვიდა, რომ თურქეთისა და ინგლისის სამხედრო და საზღვაო თანამშრომლობა დაამყაროს ბალკანეთში. გარდა ამისა, დელეგაცია განიხილავს საკითხს თურქეთისათვის ინგლისის სამხედრო საჭურველის მიწოდების შესახებ, რადგან ინგლის-თურქეთის შეთანხმების დადების შემდეგ გერმანიამ უარი განაცხადა თურქეთის სამხედრო დაკვეთების შესრულებაზე.

ინგლისის სამხედრო და საავიაციო ატაშეები თურქეთში ჩავიდნენ

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის თურქეთის საელჩოს სამხედრო ატაშე გენერალი ლუნდი და საავიაციო ატაშე საჰაერო ფლოტის პოლკოვნიკი ჯორჯი, რომელნიც სტამბოლში ჩავიდნენ, ანკარას გაემგზავრნენ.

ისინი თურქეთის არმიის ხელმძღვანელებთან რამდენიმე თათბირს ჩაატარებენ ინგლის-თურქეთის ურთიერთდახმარების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პუტჩის მომზადება დანციგში

ვარშავა, 14 ივნისი (საკდესი). გერმანელი მოიერიშეების დიდი რაოდენობით ჩასვლასთან დაკავშირებით დანციგში ისევ დაძაბული მდგომარეობაა. პოლონური გაზეთები იუწყებიან, რომ დანციგის მოსახლეობაში გერმანელი მოიერიშეები ავრცელებენ ხმებს: დანციგის ტერიტორიაზე შემოვა გერმანიის ჯარი, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიაში თავმოყრილიო.

თბილისი. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონი. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საბავშვო ბაღი. ლია ლაბაძე და ლაურა გრიგორიანი ბაღში (ფოტო-ეტიუდი).
საქდესის ფოტოქრონიკა.

თავდაცვა-ავიაქიმის აქტივისტ დიასახლისთა შეკრება

13 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ჩატარდა სტალინის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის აქტივისტ დიასახლისთა რაიონული შეკრება. შეკრებას 400-ზე მეტი დიასახლისი დაესწრო. დიასახლისები, აქტივისტი თავდაცვა-ავიაქიმელები ორგანიზებულად, სამხედრო წესზე დაწყობილნი მოვიდნენ შეკრებაზე.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით ირჩევენ ხალხთა ბელადს დიდ სტალინს და ამხანაგებს **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, ჟდანოვს, მიქოიანს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, ჩარკვიანს.**

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებით გამოვიდა 26 კომისრის რაიონის სამხედრო კომისარი ამხ. გ. კიკვაძე, რომელმაც დიასახლისებს ფართოდ გააცნო თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებანი და მოუწოდა მათ თავდაცვითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები ა. მოროზოვა, მ. შილოვა, მ. ბარხუდაროვა, გ. ოსკანოვა, გ. არვანოვი, ს. ხალიკოვა, შ. ოგანეზოვა, ლ. გერკე და სხვ. ერთხმად აღნიშნავდნენ თავიანთ საბრძოლო მზადყოფნას თავდაცვისათვის, დიდი მშობლიური საბჭოთა კავშირისათვის.

თავდაცვითი საქმის სანიმუშოდ შესწავლა,—ამბობს 70 წლის დიასახლისი ა. მოროზოვა,—ყველა ჩვენთაგანის საპატიო მოვალეობაა. ვარ რა საქმოო რგოლის მეთაური, ვიბრძვი ჩემი რგოლის მოწინავე რიგებში დაყენებისათვის.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. მიზრახი.

დასასრულ მარჯანიშვილის თეატრის ძალებით შეკრების მონაწილე დიასახლისებს უჩვენეს მხატვრული კონცერტი.

პიონერებისა და მოსწავლეების რესპუბლიკური თავდაცვითი შეჯიბრება

25, 26 და 27 ივნისს თბილისში ჩატარდება პიონერებისა და მოსწავლეების თავდაცვითი მნიშვნელობის რესპუბლიკური სპორტული შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების შეკრების დღედ დანიშნულია 24 ივნისი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ამბროლაურის, ახალციხის, მახარაძის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებიდან ჩამოსული პიონერები და მოსწავლეები.

შეჯიბრება ჩატარდება საჰაერო-ქიმიური თავდაცვის გუნდებსა და სანიტარული თავდაცვის გუნდებს შორის, გუნდურ და დუელურ სროლაში.

ფეხბურთი

ექვსი მატჩის შემდეგ

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). უკვე ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრის 6 მატჩი. ექვსი მატჩის შემდეგ პირველ ადგილზე არიან მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო", რომლებსაც აქვთ ცხრა-ცხრა ქულა 12 შესაძლებლიდან. მათ მოსდევენ გუნდები „ცდკა" და მოსკოვის „დინამო", რომლებსაც აქვთ 8 ქულა თვითეულს. მესამე ადგილი უჭირავთ „ლოკომოტივს", „ტრაქტორს" და კიევის „დინამოს", რომლებსაც აქვთ 7 ქულა თვითეულს. უკანასკნელ ადგილზე არიან — „ტორპედო" და „სტალინეცი". „ბ" ჯგუფში პირველი ადგილი უჭირავს გუნდს „კრილია სოვეტოვ", რომელსაც აქვს 12 ქულა 12 შესაძლებლიდან, და თბილისის „ლოკომოტივს"—9 ქულა 10 შესაძლებლიდან.

20 ივნისს თბილისის დინამოელები გამოვლენ კიევში. ეს მატჩი გადაცემული იქნება რადიოთი პროფკავშირთა სრულიად-რუსეთის ცენტრალური საბჭოს მოსკოვის სადგურის საშუალებით.

O

თბილისის „ლოკომოტივი" როსტოვში

თბილისის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა (ბ ჯგუფი) მეხუთე მატჩი ჩაატარა როსტოვში, სადაც შეხვდა ადგილობრივ „დინამოს" გუნდს. მიღებული ცნობით, მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2. ამრიგად თბილისის „ლოკომოტივმა" 10 შესაძლებელი ქულიდან მოაგროვა—9.

„ბ" ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში დაწინაურდა მოსკოვის გუნდი „კრილია სოვეტოვ", რომელმაც ხუთი შეჯიბრება ჩაატარა და ყველა მოიგო (შეაგროვა 10 ქულა).

პროფ. ნ. ა. ბუში თბილისში

თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფ. ნ. ა. ბუში.

პროფ. ნ. ა. ბუში აქტიურ მონაწილეობას იღებს აკადემიის თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის მრავალტომიანი კრებულის „საქართველოს ფლორის" შედგენაში.

თბილისიდან პროფ. ნ. ა. ბუში სამხრეთ-ოსეთში გაემგზავრება მაღალმთიანი საძოვრების შესასწავლად. (საქდესი).

სამეცნიერო სესია

16 ივნისს თბილისში გაიხსნება ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოხსენებებს გააკეთებენ პროფესორები ს. ყიფშიძე, კ. ზურაბიშვილი, ცნობილი მოსკოველი პროფესორები მ. გურევიჩი და მ. სერეისკი.

ფ. მუხტაროვას გასტროლები

20 ივნისს ოპერის თეატრში იწყება ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ფატმა მუხტაროვას გასტროლები.

20 ივნისს მიდის ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენი". კარმენის როლს შეასრულებს ფ. მუხტაროვა. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ: რესპ. დამს. არტისტები ნ. ქუმსიაშვილი (დონ-ხოზე) და ს. ინაშვილი (ესკამილო), თ. როდე-ჩიჯავაძე (მიქაელა), ვ. ხამაშურიძე (ცუნიგა) და სხვ.

23 ივნისს ფ. მუხტაროვას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ჯ. ვერდის „აიდა", ხოლო 27 ივნისს—კვლავ „კარმენი".

O

ოპერის სეზონი გაგრძელდება ივნისის დამლევამდე. სეზონის უკანასკნელი პრემიერა იქნება ო. ჩიშკოს ოპერა „ჯავშნოსანი პოტიომკინი", რომელსაც სდგამს რეჟ. გ. ჟურული, მხატვრული გაფორმება პროფ. ი. შარლემანისა, დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი.

სოხუმის თეატრის გასტროლები ბათუმში

11 ივნისს სეზონი დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დრამამ. უკანასკნელ პრემიერად თეატრმა დადგა ფაშისტური ჯალათების მიერ დახვრეტილი ესპანელი პოეტის ფედერიკო გარსია ლორკას პიესა „სისხლიანი ქორწილი".

თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ოჩამჩირესა და ზუგდიდში, ხოლო 1 ივლისიდან გასტროლებს იწყებს ბათუმში, სადაც გამართავს 15 წარმოდგენას.

საგასტროლო რეპერტუარში შედის „ურიელ აკოსტა", „კოლმეურნის ქორწინება", „არშინ-მალ-ალან", „გუშინდელნი" და „სისხლიანი ქორწილი".

ექსკურსია იმიერპოლარეთში

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება აწყობს ექსკურსიას იმიერ-პოლარეთში შემდეგი მარშრუტით: თბილისი—ლენინგრადი—სტალინის სახელობის თეთრი ზღვა—ბალტიის არხი—მურმანსკი — არხანგელსკი — ვოლოგდა — მოსკოვ-ვოლგის არხი — მოსკოვი—სევასტოპოლი—ბათუმი—თბილისი.

ექსკურსიაში მონაწილეობენ: საზოგადოებისა და მისი სასკოლო სექციის აქტივი, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტი-გეოგრაფები და სხვ.

ექსკურსანტები მოსკოვში დაათვალიერებენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

ექსკურსია 30 დღის გასტანს. (საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

16 ივნისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში — ამხ. ბ. ჟღენტის ლექცია თემაზე: მ. გორკის ცხოვრება და შემოქმედება. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. ლარცულიანის ლექცია თემაზე: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — მარქსიზმის ფილოსოფია. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამის 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1680250, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ალექსანდრე გერასიმეს-ძე კაპანაძის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 1672476, გაცემული იმავე რაიკომის მიერ რაფიელ მელიქის-ძე ასლამაზოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ა. წ. 29 ივნისს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა კლუბში (ლენინის ქ. № 3) მოწვეულია
ორჯონიკიძის საბ. რაიონული საბჭოს XII პლენუმი
დღის წესრიგი:
1. რაიონის გამწვანების სამუშაოების შესახებ (მომხს. ამხ. ა. კახრაძე).
2. სახლების კაპიტალური შეკეთების მიმდინარეობის შესახებ (მომხს. ამხ. ე. აკოპოვი).

რაისაბჭოს წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
რაისაბჭოს პრეზიდიუმი.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
ფუნიკულიორის პლატო
16 ივნისს
ილუზიის თეატრის გასტროლი რობერტი და ლილიენები
დასაწყისი საღ. 9½ ს.
საერთო ცეკვები საღ. 9½ ს.—12½ ს.
პარკში უკრავს სასულე ორკესტრი **შელტუხინის** ხელმძღვანელობით.
მრავალფეროვანი ატრაქციონები. პარკი ღიაა ღამის 12 საათამდე. 80

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

16/VI	მზის დაბნელება საქართველოში
17/VI	მზის დაბნელება საქართველოში
18/VI	სეზონის დახურვა — მზის დაბნელება საქართველოში

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
მოზარდები 16 წლამდე არ დაიშვებიან.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

16/VI	17/VI	18/VI
დაისი	ტოსკა	აბ. სერ. № 6 მე-15 წარ. ბახჩისარაის შადრევანი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
16, 17, 18 ივნისს
მუდმ. ადგ. ტალონები 19, 20, 21
გრძელდება **მოსკოვის ჯაზ-აკორდეონის ანსამბლის გასტროლები**
კომპოზიტორ ე. მ. როზენფელდის სამხატვრო ხელმძღვანელობით.
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 11 ს-დან 3 ს-მდე და საღამოს 6-დან 11 საათამდე.

ღია ესტრადა
16 ივნისს
საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მსახიობთა საღამოები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

ყურადღება!!!
1939 წლის 17—18 ივნისს უკრაინის სსრ ქალაქ სტალინოში დანიშნულია მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა პირველი ტირაჟი.
მოგებათა ტირაჟში გათამაშებული იქნება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

61	მოგება	თითო	3000	მან.
305	„	„	1000	მან.
3050	„	„	500	მან.
61000	„	„	200	მან.
545584	„	„	150	მან.

სულ 610.000 მოგება 96.050.600 მან. რაოდენობით. ხელისმომწერლებმა, რომლებსაც თავიანთი ობლიგაციები არ მიუღიათ, უნდა მიიღონ ისინი ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში ხელმოწერის ადგილის მიხედვით.
საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.
663

თბილისის საბჭოს ვეტინსპექციასთან არსებული სასწავლო-საჩვენებელი სამჭედლო-სახელოსნო ლებულობს დაკვეთებს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღების დასამზადებლად,
როგორიცაა: თოხები, ნაჯახები, წალდები, წერაქვები, ნიჩბები, ბარები და ასრულებს სხვა სამჭედლო სამუშაოებს.
სახელოსნო ვეტექიმის ზედამხედველობით აჭედებს აგრეთვე კარგი ხარისხის ნალებს როგორც ცხენის, ისე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის და ლურსმანს ხარ-კამეჩის დასაჭედავად.
საწარმო-ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მიმართონ დირექტორს ხელშეკრულების დასადებად, რის საფუძველზეც კლიენტები მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან ზემოაღნიშნულ მზანაწარმით. გარდა ხელშეკრულებისა, შეიძლება ცალკე დაკვეთების მიღებაც.
მისამართი: ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზარი.
193 დირექცია

შვილი მერი მეუღლით, შვილიშვილები ნინა და ლიალია, სიძე გ. ჯანაშია იუწყებიან
მელქისედეკ ივანეს-ძე ბუინჩიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 16/VI, 6 ს. პეროვის, 1, კუკიის სასაფლაოზე. 2193

ქალიშვილი დოდონა, სიძე მიშა ხაინდრავა, შვილიშვილები გოგი და ოთარ იუწყებიან მათთვის საყვარელი მამის, სიმამრისა და ბაბუის
მელქისედეკ ივანეს-ძე ბუინჩიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 16/VI, 6 ს. პეროვის, 1, კუკიის სასაფლაოზე. 150

ჩაგელიშვილი, ნუნუ და ზურაბ წულუკიძეები, ქარუმიძე, ჯაოშვილი, ჯავახიშვილი, პაპუაშვილი და ივანოვა, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ვალოდია კლდიაშვილის დის
ლეილას
უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება 16/VI, 6 საათზე ვაკის ახალ სასაფლაოზე.

შვილები შალიკო, აკაკი, კლიმენტი ცოლშვილით, მიშა, პალიკო, ვასო, ვიატკინი, გამზრდელი ფიქა იუწყებიან, რომ 18/VI ს. გეზათში (აბაშა) დანიშნულია დაუვიწყარ
ანეტა ნიკოლოზის-ასულ ბოკერიას
სამოქ. პანაშვიდი. 2178

მეუღლე შურა, შვილები თინა, ლალი, ძმა ბარნაბ, დები ოლია, ნინო შვილით პაჭულიათი იუწყებიან, რომ 18/VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ ექიმ
ლუკიანე ნუცუბიძის
პანაშვიდი. 2179

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა).
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 ს. საღ. 6—9 ს. გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი, ბინა № 57. 10—9 1718

მეუღლე თამარ, ძმა გრიგოლ იუწყებიან, რომ 18/VI, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
კონსტანტინე (კოწია) ქლენტის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2185

მეჩონგურე ქალთა სახელმწიფო ანსამბლი ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მწუხარებით იუწყება სახალხო მომღერალ-ლოტბარის ორდენოსან
სანდრო კავსაძის
გარდაცვალებას. 2191

სიძეები გრ. დალაქიშვილი, ა. ლებანიძე, ივ. სულაძე, ვ. მძელური ოჯახებით იუწყებიან
იოსებ სოლომონის-ძე ჭამაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 16/VI, 6 ს. წყალსაწრეტის, 6, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 2181

ცოლი დორა, შვილი ლამარა, ძმა დიმიტრი ცოლშვილით და მახლობელი ნათესავები იუწყებიან, რომ 18/VI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ექიმ ვარლამ არისტოს-ძე აბაშიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2182

ძმები გალაქტიონ, სამსონ, რაჟდენ გეგეჭკორები ცოლშვილით, დები პასიკო, მარო, რისიკო იუწყებიან დაუვიწყარ
ოლინკა გაბრიელის-ასულ გეგეჭკორი-ჭითავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/VI, 7 ს. ჩოდრიშვილის, 26. დაკრძალვა 18/VI, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2183

რძეფრინველცენტრის დირექცია და ადგილკომი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. თამარ ჭამაშვილს მისი მამის
იოსებ სოლომონის-ძე ჭამაშვილის
გარდაცვალების გამო. 2184

დამწუხრებული მამა იასონ, დები ნინო, ვარა შვილით რამაზიკოთი, მატრონა, ძმა ტრიფონ მაჭარაშვილები იუწყებიან, რომ 18/VI, 2 ს. საჩხერეში სობოროს სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
ლუბა იასონის-ასულ მაჭარაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 100

„მონკავშირის" გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან „მონკავშირის" საქმეთა მმართველის
დიმიტრი ილარიონის-ძე წითლანაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/VI, 8 ს. კვალის, 13. დაკრძალვა 17/VI, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2189

ამხ. ლ. ბერიას სახ. კულტურის სახლის დირექცია, ადგილკომი და პირველადი პარტორგანიზაცია იუწყებიან კულტსახლის თანამშრომელ დავით კავსაძის მამის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ორდენოსან
სანდრო კავსაძის
გარდაცვალებას. 2190

დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა, მშობლები პასიკო, პავლე, ძმები სერგო, ილიკო, კლიმენტი, რძლები ნინო, ევა, ტატიანა შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ
ნესტორ პავლეს-ძე ძიძიგურის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/VI, ს. მარანში. 2186

დამწუხრებული მშობლები ქეთო, ვალიკო, ძმა თენგიზ, ბებიები, ბაბუები, მამიდები ქმარშვილით იუწყებიან, რომ 18/VI, 5 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
ზაირა ვალერიანის-ასულ მგალობლიშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 2187

შვილები გრიშა, ლეო, ოლია, ცირუ, ცაბული, რძალი მათიკო, სიძე დიმიტრი, შვილიშვილები ლია და ნელი იუწყებიან დაუვიწყარ
მიხა დათას-ძე გაგუნიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/VI, საღამოს 8 ს. ქობულეთის ქ. № 16ა დაკრძალვა ვაკის ახალ სასაფლაოზე 18/VI, დღის 2 საათზე.

დედა თაფლო, მეუღლე მანია შვილებით, დები ლუბა, ვერა, სადიკო, თალიკო, ძმები ბუჭულა, ვახტანგ, კუკური იუწყებიან, რომ 18/VI, 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია
მიხეილ აბრამიშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 2188

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული 677